140
1970/2



# პიონერი

11 1970



მარტო ამ გიგანტური მილებითაც ეტყობა, თუ რა გრანდიოზული საწარმოა დღეს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.

# საბჭოთა აჭარა

**დ. დიასამიძე**
*აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.*

რით ხვდება საბჭოთა აჭარა საქართველოს სსრ და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50-ე წლისთავს?

კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა აჭარა დიდი მიღწევებით ხვდება ამ დიად იუბილეს. ამას ნათლად დავინახავთ, თუ შევადარებთ აჭარის დღევანდელ მდგომარეობას რევოლუციამდელს.

ბავშვებო, თქვენთვის ახლა ძნელი წარმოსადგენია, თუ რაოდენ ჩამორჩენილი კუთხე იყო რევოლუციამდელი აჭარა. უუფლებობა, სილატაკე იყო აჭარის მშრომელთა ხვედრი. კაპიტალისტები, ბეგები, აღები და ხოჯა-მოლები იყვნენ გაბატონებულნი. მათ ხელში იყო ფაბრიკა-ქარხნები და მიწები. მთელი საწარმოო საშუალებები და იარაღები მათ ხელთ იყო. მუშები და გლეხები იჩაგრებოდნენ. განუწყვეტლივ თარეშობდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



11. 301

ნენ უცხოელი ოკუპანტები — ხან თურქები და ხან ინგლისელები.

მშრომელმა ხალხმა ველარ აიტანა ეს, დაამხო ექსპლოატატორული წყობილება და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საოცრად იცვალა სახე აჭარამ. აქ განხორციელდა გრანდიოზული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული გარდაქმნები.

უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა საზოგადოების წოდებრივი დაყოფა და პრივილეგიები, სამუდამოდ აკრძალა დაქირავებული შრომა, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა.

ადამიანმა მიიღო შრომის, დასვენების, განათლების უფლება, აგრეთვე მოხუცებულობაში, ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფისა და სხვა დიდი უფლებები და თავისუფლება.

ახლა მშრომელები სარგებლობენ უფასო განათლებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით; სტუდენტები იღებენ სტიპენდიებს. მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები უზრუნველყოფილი არიან პენსიით. მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ კომუნალური ბინები. მარტო აჭარაში **1969 წელს სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 14 მილიონ 46 ათასი მანეთი**, მოსახლეობის ჯანმრთელობის **დაცვაზე 9 მილიონ 968 ათასი მანეთი**, სოციალური დაზღვევით მშრომელთა მიერ მიღებულმა თანხამ შეადგინა **4 მილიონ 120 ათასი მანეთი**, მუშებმა, მოსამსახურეებმა და კოლმეურნეებმა ყველა სახის პენსიისა და დახმარების სახით მიიღეს

მშვიდია დღეს ზღვა. ამინდი დაუდგა თევზსაჭერ სეინერების ქარავანს.

**14 მილიონ 515 ათასი მანეთი.**

დიდად განვითარდა აჭარის მრეწველობა. 1921 წელს აჭარაში იყო 30-მდე წვრილი სამრეწველო საწარმო, რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში ბევრი ახალი სამრეწველო საწარმო აშენდა. აჭარის სამრეწველო საწარმოები, რომელთა რიცხვი ახლა 81-ს შეადგენს, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და უშვებს მრავალი დასახელების პროდუქციას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა მსხვილი საწარმოები: ბათუმის ნავთობგადამამუშავებე-

ლი, მანქანათსაშენი, გემთსაშენი, ელექტროტექნიკური, ელექტროხელსაწყოების, ელექტრომექანიკური, ტყავის, კოფეინის, ღვინის, ლუდის, ქიმიური და სხვა ქარხნები, ციტრუსკომბინატი, ხისდამმუშავებელი კომბინატი, სამკერვალო, თამბაქოს, ფეხსაცმლის, ავეჯის, საკონდიტრო და სხვა ფაბრიკები. ჩაის კულტურის სწრაფი განვითარების გამო აჭარაში აშენდა 12 ახალი ფაბრიკა და ახლა მათი რაოდენობა 14-ს შეადგენს.

ყოველწლიურად იზრდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და უმჯობესდება მისი ხარისხი. **1921 წელთან შედარებით 1969 წელს აჭარის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 256-ჯერ გაიზარდა.**

მრეწველობის მძლავრ განვითარებასთან ერთად წინ წავიდა აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ახლა აჭარაში არის 163 კოლმეურნეობა და 18 საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც სამშობლოს აძლევენ დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვან ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს, ყურძენს, მეცხოველეობისა და სხვა ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ამჟამად აჭარაში ჩაის კულტურას უკავია 6960 ჰექტარი ფართობი, ციტრუსებს — 5940 ჰექტარი, დაფნას — 487 ჰექტარი, თამბაქოს — 1480 ჰექტარი, ვენახს — 480 ჰექტარი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობების გადიდებასთან ერთად გაიზარდა მათი მოსავლიანობა. 1970 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 39 ათასზე მეტი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. დიდი წარმატებებია მოპოვებული ციტრუსოვანთა განვითარებაში.

1959 წელს დაიწყო წყალქვეშაფრთებიანი კატარღების გამოშვება. ახლა ბათუმის წყალქვეშაფრთებიანი კატარღები მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნება. მას დიდი მოწონება ხვდა 1963 წლის სალონიკის, 1964 წლის იზმირის, 1965 წლის ტაილანდის და დანიის გამოფენებსა და გაზრობაზე.

აი, სად იგზავნება ბათუმური პროდუქცია: კუბა, შვეცია, ნორვეგია, ფინეთი, ისლანდია, გდრ, გფრ, ბულგარეთი, საბერძნეთი, ავსტრალია, იტალია, ბელგია, [illegible] ინგლისი, ცეილონი, ჰოლანდია, ლიბანი, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა, საფრანგეთი, პოლონეთი, ვიეტნამი, ავსტრია, ლიბერია, რუმინეთი, ბრაზილია, გვინეა, ჩეხოსლოვაკია, ინდონეზია, სომალი, ერაყი, მონღოლეთი, განა, იემენი, აშშ, ავღანეთი, ბირმა, კორეა, ტუნისი, დანია, ინდოეთი და სხვა.

1969 წელს აჭარის მეციტრუსეებმა ქვეყანას მისცეს 32.200 ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ძირეული გარდაქმნები განხორციელდა მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში. ახლა აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს 241 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ემსახურება.

ზღვით, ბუნებითა და კლიმატით აჭარამ სახელი გაითქვა როგორც საუკეთესო კურორტმა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ დიდად გაფართოვდა მოსახლეობის დასვენების კერები. ამჟამად აჭარაში არის 17 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და ტურბაზა.

თქვენ მხოლოდ წიგნებითა და კინოთი თუ წარმოიდგენთ რა მდგომარეობაში იყო წინათ აჭარელი ქალი. ახლა ქალი სამუდამოდ განთავისუფლებულია საუკუნეობრივი ჩაგვრისა და მონობისაგან. საბჭოთა კანონმდებლობამ მოსპო ქალის უუფლებობა. ქალს მიენიჭა მამაკაცის თანაბარი უფლებები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ვისაც უნახავს მაღალი, ნათელი, თეთრად მოქათქათე ჩვენი სკოლები, ალბათ ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა დაბალ დონეზე იყო რევოლუციამდელ აჭარაში სახალხო განათლება. თითებზე ჩამოსათვლელი იყო სკოლები.

მიმდინარე სასწავლო წელს კი აჭარაში არის სულ 434 **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სადაც სწავლობს 69 ათასამდე მოსწავლე.** ეს ციფრები იმას მეტყველებს, რომ სახალხო განათლების დარგში უკანასკნელ წლებში უდიდესი გარდატეხა მოხდა.

ბათუმში დიდი ხანია არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტი. გარდა ამისა, აქ არის 8 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. **ამჟამად აჭარაში ყოველი მეოთხე კაცი სწავლობს.**

1925 წლისათვის აჭარაში წერა-კითხვა იცოდა მხოლოდ მოსახლეობის 6,7 პროცენტმა. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველ წლებიდანვე გაჩაღა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ამ დარგში მალე მოპოვებულ იქნა დიდი წარმატებები; ამჟამად აქ მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

აჭარაში შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ფართო ქსელი. ახლა აქ 9 ასეთი დაწესებულებაა, სადაც მუშაობს 292 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის მეცნიერების 9 დოქტორი და 94 კანდიდატი.

აჭარაში მომუშავე ქართველმა მწერლებმა ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს. ნაყოფიერად მუშაობენ მწერლები: პ. ლორია, ნ. მალაზონია, ფ. ხალვაში, მ. ვარშანიძე, გ. სალუქვაძე, ჯ. ჯაყელი, შ. როყვა, ზ. გორგილაძე, ა. სამსონია, ა. შერვაშიძე, გ. ლორთქიფანიძე, ი. ფალავა, შ. ზოიძე, ნ. ძირკვაძე და სხვები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

11 • ნოემბერი • 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

აჭარის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამჟამად არსებული 500-მდე კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულება, ბათუმის სახელმწიფო თეატრი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, სახელმწიფო ფილარმონია. მნიშვნელოვნად განვითარდა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნება. ახლა აჭარაში არის ერთი მუსიკალური სასწავლებელი და 8 სკოლა. დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან ხელოვნების მუშაკები: ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე, ა. მგელაძე, ნ. თეთრაძე, ხ. მეგრელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ფ. კობალაძე, ე. ხაბაძე და სხვები.

აჭარაში მომუშავე ქართველმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა შექმნეს ბევრი მხატვრული ტილო და ქანდაკება. საინტერესო ნაწარმოებებს ქმნიან მხატვრები და მოქანდაკეები: შ. ხოლუაშვილი, მ. ბოლქვაძე, დ. იმნაიშვილი, ტ. ჭანტურია, ნ. იაკოვენკო და სხვები.

წარმატებები მართლაც დიდი გვაქვს. ეს შემთხვევითი არ არის — ახალი ცხოვრების შექმნასა და დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვით რევოლუციური ბრძოლებისა და შრომის სახელოვან ვეტერანებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის აჭარაში აქტიურად იბრძოდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც არიან: ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე, დ. მახარაძე, კ. ქაჯაია, ნ. გუბელი, ი. ჟღენტი, ი. პევცოვი, კ. თავბერიძე, რ. ნიჟარაძე, შ. აბდიბა, ს. დიასამიძე, ნ. ანასტასიევი, ა. პირუმოვა, ა. თალაკვაძე, ა. კაიკაციშვილი, უ. ბეჟანიძე, ე. ბახტაძე, ჯ. ცენტერაძე, მ. იმნაიშვილი, ხ. თხილაიშვილი, ქ. ნოლაიდელი, ს. შარაშიძე და სხვები.

არამარტო დღევანდელი, არამედ ჩვენი მომავალი თაობა დიდებით მოიხსენიებს იმათ სახელებს, ვინც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება მოანდომა მშრომელი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის ბრძოლას.

აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის მიერ გაწეულმა მუშაობამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის აჭარაში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებული აქვს 150-ზე მეტ კაცს.

აჭარის მშრომელები ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს ახალი წარმატებებით შეხვდნენ სახალხო მეურნეობის და ქართული საბჭოთა კულტურის განვითარების ყველა დარგში.



ათასოგით ჩაის მკრეფავი შეცვალა ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილმა მსოფლიოში ერთადერთმა ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ“.

# საქართველო უკვდავების

თურქეთის სამასწლოვანი ბატონობის შემდეგ დადგა სანატრელი დღე — აჭარა დედა სამშობლოს დაუბრუნდა. მასზე ზრუნავდნენ ჩვენი დიდი ერის მოძღვარნი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და ივანე კერესელიძე, ზაქარია ჭიჭინაძე და ალექსანდრე ყაზბეგი, მათი ზრუნვითა და ინიციატივით გაიხსნა სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ბევრმა მათგანმა დარსა თუ ავდარში შემოიარა აჭარის მთა და ბარი და საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა. ერთ-ერთი ამ მამულიშვილთაგანი იყო თედო სახოკია.

გ. შარაშიძე,
მ. მშვიდობაძე

## თედო სახოკიას ჩიჩერონე

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე თედო სახოკიამ ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით აჭარაში იმოგზაურა. მან დიდი სითბოთი და სიყვარულით აღწერა აჭარის სახელოვანი წარსული, დაგვიხატა იმდროინდელი აჭარის ცხოვრების სურათები.

ამ შესანიშნავ მოგზაურს ხულოდან ფურტიომდე მეგზურობას იუნუს ბერიძე უწევდა. აი როგორ ახასიათებს მას მწერალი: „ჩემთან ერთად მოდიოდა გზის მაჩვენებლად ფურტიოს მცხოვრები იუნუს ბერიძე, თავაზიანი, წმინდა ქართულით მოლაპარაკე, უებრო მოამბე. იუნუს ბერიძე საუცხოო თანამგზავრი შეიქნა. თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მგზავრობის დასასრულს თავისებური სასყიდელიც მოითხოვა თავის სამსახურისათვის. მაგრამ კი არ იფიქროთ, რომ ჯილდო ვერცხლისა ეთხოვოს, არა, ძალიან ცილს ვერ დავწამებთ. როცა ფურტიოს გავსცდით და დავადექით ხულოს გზას, სადაც ხულოს უფროსს სოფლელების თავდგმურად იუნუსი დაუნიშნავს, ჩემმა ჩიჩერონემ მითხრა: „დიდი ჯაფა გავსწიე, ბატონო, ამ გზების გაკეთებაზეო. ხულოში მითხრეს, თქვენ ქითაბებსა (წიგნებს) წერთო და ქალაქში „ღლუბერნატორს“ იცნობთო. როცა დაბრუნდებით, ჩემი სახელი ქითაბში ჩაწერეთ და ღლუბერნატორს თხოვეთ ერთი მინდალი მიბოძოს ამდენი შრომიზა“. დავპირდი ამესრულებინა პირველი ნახევარი მისი თხოვნისა (ამის მოწმე თითონ მკითხველიც ბრძანდება), ხოლო მეორე ნახევრის შესახებ ვუთხარი, თუ რა ძნელია ახლანდელ დროში მედლის შოვნა...“

ფურტიოსა და მის ახლომდებარე ყველა ისტორიული ძეგლისა და ღირსშესანიშნავი ადგილის — თაღოვანი ხიდი იქნება ეს თუ „დედოფლის ქვა“, „დედოფლის გზა“ თუ „დედოფლის წყარო“, „სიმონაური“, თუ „დოლიაური“, — შესახებ ცნობებს თედო სახოკია იუნუს ბერიძის მონათხრობის მიხედვით გვაწვდის.

ყოველივე ეს ნათელი დასტურია იუნუს ბერიძის მიერ მშობლიური კუთხის ისტორიის ცოდნისა და სიყვარულისა.

ფურტიოელ ბერიძეებს ქართული სტუმართმოყვარეობითაც გამოუჩენიათ თავი. მათ გულუხვი სუფრა გაუმართავთ. „ქართველურ ბოდიშს დასასრული აღარ ჰქონდა, — გვიამბობს მწერალი. — ნუ დაგვზრახავთ, თქვენს საკადრისად ვერ დაგიხვდით, მაგრამ რა ვქნათ, ფუხარა* ხალხი ვართო... გულწრფელი მადლობის მეტი რაღა მეთქმოდა“.

„ფუხარა ხალხი ვართო“... მართლაც გაჭირვება, შიმშილი, უსიხარულო ყოფა იყო მაშინ იქაური გლეხის ხვედრი. მშრომელი ხალხი წელებზე ფეხს იდგამდა, მუშაობაში დღე და ღამეს ასწორებდა, მაგრამ მაინც ლუკმა პური ენატრებოდა. ეს იმიტომ, რომ მის ნაშრომ-ნაამაგარს სხვა ითვისებდა.

## ისევ ხულო-ფურტიოს გზაზე

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ახდა ხალხის დიდი ხნის ოცნება — იგი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა. აჭარის მაღალმთიან სოფლებში კანტიკუნტად მოდიოდა ცნობები, რომ რუსეთში მიწა იმას ეკუთვნის, ვინც მას ამუშავებს, აღარ არიან ბურჟუები და მემამულეები, ხალხი თვითონ განაგებს თავის ბედსო.

რევოლუციური მოძრაობის ტალღა მთებშიც შეიჭრა, ხალხს აღარ სურდა ძველებურად ცხოვრება, გახშირდა პროტესტები ალა-ბეგებისა და ხოჯა-მოლების წინააღმდეგ. ამ გამოსვლების ერთ-ერთი მოთავე იუნუს ბერიძე იყო.

1921 წლის თებერვალში მთელ საქართველოში იფეთქა საყოველთაო შეიარაღებულმა აჯანყებამ მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით XI წითელმა არმიამ დახმარების ხელი გაუწოდა ბურჟუაზიულ-მემამულური ბატონობისა და უცხოეთის კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად ამხედრებულ საქართველოს მშრომელებს.

გოდერძის უღელტეხილზე კაცის სიმაღლე თოვლი დევს. XI არმიის ერთ-ერთი დივიზია, რომელსაც უშიშარი ვაჟკაცი დიმიტრი ჟლობა მეთაურობს, მტკიცედ მიიწევს წინ. „ამხანაგებო, ბათუმის აჯანყებული პროლეტარიატი ჩვენს დახმარებას ელის, დაყოვნება სიკვდილს უდრის!“ — ამხნევებს დიმიტრი ჟლობა თავის მებრძოლებს. და ჯარისკაცები მედგრად ებრძვიან ბუნების სტიქიას, დასახმარებლად მოისწრაფიან.

უკან დარჩა სოფლები: დანისპარაული, რიყეთი, დი-

* ფუხარა — ღარიბი.



თვითმპყრობელობის დამხობისადმი მიძღვნილი მიტინგი ბათუმში, თვითმმართველობის შენობის წინ. 1917 წლის მარტი.

ოკნისი, დიაკონიძეები. ყინვით გათოშილ, მოქანცულ ჯარისკაცებს ადგილობრივი მოსახლეობის მეგობრულმა დახვედრებმა გაუთბო გული. ხულოში სახელდახელო მიტინგი გაიმართა. იქ იუნუს ბერიძის ხელმძღვანელობით სხალთის ხეობის გლეხკაცობაც ავიდა. მაშინ კიდევ ბევრნი იყვნენ მენშევიკებისა და თურქოფილების გავლენის ქვეშ. ისინი გლეხებს ჟლობას დივიზიის წინააღმდეგ ამხედრებდნენ და უკრძალავდნენ ხულოში მიტინგზე წასვლას. იუნუს ბერიძესა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მომხრეებს დიდი ბრძოლა, დიდი აგიტაცია დასჭირდათ, რომ ხალხი თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ. ბოლოს შეიკრიბა ორმოცამდე კაცი, და დელეგაცია ხულოს გაემგზავრა.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა დიმიტრი ჟლობა, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების სიკეთეზე ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ მე-11 წითელი არმია ქართველი ხალხის დასახმარებლად მოვიდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თხოვნით, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მითითებით. საქართველოს რევკომი ვ. ი. ლენინს სწერდა, რომ მენშევიკური მთავრობის დასახმარებლად ისწრაფოდნენ ევროპის რეაქციის ძალები. გაერთიანებული „შავი ლაშქრის" შემოტევისათვის წინააღმდეგობის გაწევა კი მხოლოდ შეერთებულ წითელ სოციალისტურ ლაშქარს შეეძლო. „ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, — მიმართავდნენ ქართველი ხალხის წარმომადგენლები რევოლუციის დიდ ბელადს, — რომ არა მარტო პროლეტარული რევოლუციის, არამედ დიდი მატერიალური შესაძლებლობის ქვეყანა არ დაგვტოვებს ჩვენ უთანასწორო ბრძოლაში და დახმარებას აღმოუჩენს ახალშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას..."

— და აი, ჩვენ თქვენთან ვართ, ამხანაგებო, — თქვა დიმიტრი ჟლობამ, — რათა დაგეხმაროთ თქვენი სურვილის განხორციელებაში — განამტკიცოთ საბჭოთა ხელისუფლება.

საპასუხო სიტყვით, სხვებთან ერთად, იუნუს ბერიძეც გამოვიდა. — ვიცით ლენინი, გაგვიგონია მის შესახებ. მას ფუხარა ხალხისათვის მშვიდობა და ბედნიერება მოაქვს. კეთილი იყოს თქვენი ფეხი აჭარის მრავალტანჯულ მიწაზე, ამხანაგებო! — ეს ახლადგაგონილი სიტყვა „ამხანაგებო" მან განსაკუთრებული აქცენტით წარმოთქვა.

იმ საღამოს იუნუს ბერიძე კვლავ დაადგა ხულო-ფურტიოს გზას. იგი ახლა ქართველი ხალხის მეორე კეთილისმყოფელს — დიმიტრი ჟლობასა და მისი დივიზიის მებრძოლებს მიუძღოდა.

## ახალი ცხოვრების დასაწყისი

ოქტომბრის მზემ აჭარაშიც შემოანათა. დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და აღმავლობის წლები. იუნუს ბერიძე ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა, მუდამ იქ ნახავდით, სადაც ყველაზე მეტად საჭირო იყო მისი ცოდნა და გამოცდილება, აქტიურად ეწეოდა ახალი ცხოვრების პროპაგანდას. ეს მაშინ ერთობ რთული საქმე იყო, რადგან საწინააღმდეგო პროპაგანდას დამსხვრეული ექსპლოატატორული კლასების ნარჩენებიც ეწეოდნენ. ჯერ კიდევ დიდი იყო ტრადიციის ძალა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მათს გავლენას განიცდიდა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ, მიმართავდნენ შანტაჟსა და ტერორს. რამდენჯერ ჩაუხედია იუნუს ბერიძეს სიკვდილისათვის თვალებში, მაგრამ ყოველთვის სიმართლე იმარჯვებდა.

1922 წელს იუნუსი სხალთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს რთული და პასუხსაგები უბანი იყო, რადგან მაშინდელი სხალთის სასოფლო საბჭო დღევანდელი შუბნის, ოლადაურის, ხიხაძირის, ყინჩაურისა და ზამლეთის სასოფლო საბჭოს აერთიანებდა. როგორც უკვე გიამბეთ, უმეცრება, შიმშილი და უუფლებობა იყო უწინ აქაური გლეხის ხვედრი. უგზოდ, უხიდოდ და უსიხარულოდ ცხოვრობდა მაშინდელი სოფელი. გლეხი კაცი წელებზე ფეხს იდგამდა, მთის მკაცრ პირობებში ძუნწი მიწისათვის სარჩო-საბადებელი რომ გამოეძალა, და ისიც წლიდან-წლამდე არ ჰყოფნიდა. სანთლით რომ გეძებნათ, სოფელში კაცს ვერ ნახავდით ანბანის მცოდნეს. სად იყო წიგნი და სკოლა, ჟურნალი და გაზეთი. მკურნალზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. სოფლის ქოხმახები სხვადასხვა სნეულებათა ბუდედ ქცეულიყო. გლეხს ათეული კილომეტრი ფეხით უნდა გაევლო, ქალაქიდან ნავთი და მარილი რომ ამოეტანა. კარგად ახსოვთ აქაურ მოხუცებს ის გაუხარელი ყოფა და წარსულს მუდამ უსიამოვნოდ იგონებენ. დღევანდელ ბედნიერი ახალგაზრდობისათვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ყოველივე ეს მართლაც იყო სულ ახლო წარსულში, რაღაც ორმოცდაათი წლის წინათ.

ყველგან უნდა მისწვდომოდა იუნუს ბერიძის თვალი და ყური. სად სკოლის გახსნა იყო საჭირო, სად ქოხ-სამკითხველოსი, სად გზის გაყვანა, ხიდის აშენება, სად ათასი სადაო საკითხის მოგვარება... დღეს ეღიმებათ ფურტიოელ მოხუცებს, როცა იგონებენ, რომ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გზების, ხიდების, სკოლების, მაღაზიების გახსნას. სოფლის მოწინავე ადამიანებმა კარგად იცოდნენ, რომ ყოველივე ეს — ახალი ცხოვრების ხილული სურათები, მისი პროპაგანდის უებრო საშუალება იყო. სწორედ ეს არ აძლევდათ ხელს ხალხის მტრებს, მაგრამ მათი ყველა ცდა ამაოდ რჩებოდა, ხალხი თანდათან რწმუნდებოდა ახალი ცხოვრების უპირატესობაში.

## დგებოდა აისი

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია იყო. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა აჭარის მაღალმთიან სოფლებში, სადაც წერა-კითხვის მცოდნე კაცი სანთლით საძებარი იყო. იუნუს ბერიძემ თავის სასოფლო საბჭოში ბევრი საშვილიშვილო საქმე გააკეთა. მისი ინიციატივით პირველი დაწყებითი სკოლა სოფელ ფურტიოში გაიხსნა. შემდეგ ყინჩაურში, ბეგის* საგვარეულო სახლში მოეწყო სკოლა. წინააღმდეგობა დიდი იყო, ზოგიერთი ნაძირალა თავგამოდებით იცავდა ბეგების სახლებს. იუნუსი არ შედრკა, მეორე მებატონის სახლიც დაამლევინა, სხალთაში გადაატანინა და მასშიც დაწყებითი სკოლა გაახსნევინა. ასეთივე ბედი ეწია შორეული სოფლის თხილვანას მფლობელის შენობასაც — მისი მიყრუებული კედლები იქაური ბავშვების მხიარულმა ჟრიამულმა გაახალისა.

თანდათან სკოლები და ქოხ-სამკითხველოები სხალთის სასოფლო საბჭოს თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა. ამ საკითხზე იუნუსი არაერთხელ ჩასულა ბათუმში, თბილისსაც სწვევია. მოითხოვდა დახმარებას, წიგნებს ქოხ-

* ბეგი — მებატონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღე და ღამე ფხიზლობენ — იცავენ სოციალიზმის მონაპოვარს საბჭოთა მესაზღვრეები.

სამკითხველოებისათვის, მასწავლებლებს, სახელმძღვანელოებს. ბევრი ქართველი პატრიოტი არ შეუშინდა სიძნელეებს, მუშაობის რთულ პირობებს, იუნუსს გაჰყვა და ხალთის სასოფლო საბჭოს სოფლებში ნათელი კვალი დატოვა. აქ მადლიერების გრძნობით იხსენიებენ პირველ პედაგოგებს შალვა შავლაყაძესა და ალექსანდრე ტორონჯაძეს.

1927 წელს იუნუს ბერიძეს ცაკის წევრად ირჩევენ. ამ საპატიო მოვალეობას იგი 1931 წლამდე ასრულებდა. ამ პერიოდში არაერთხელ შეხვედრია ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო მუშაკებს. საოჯახო ალბომში ინახება ფოტოსურათი, რომელზეც იუნუს ბერიძე, სერგო ორჯონიკიძესთან, ფილიპე მახარაძესთან, მამია ორახელაშვილთან და სხვებთან ერთად არის აღბეჭდილი.

ცაკის წევრს სხვა საზრუნავიც გაუჩნდა, ადგილობრივი ინტელიგენციის მომზადება იყო აუცილებელი. ბათუმში ბევრი სასწავლებელი-ინტერნატი გაიხსნა, ეს სასწავლებლები ძირითადად ადგილობრივი კადრებით კომპლექტდებოდა, ხალთის სასოფლო საბჭოში იუნუსი აგროვებდა სწავლა მოწყურებულ ახალგაზრდობას და ბათუმში ჩაჰყავდა. ბევრს ეძნელებოდა მაშინ ბათუმში სწავლა, ქალაქში ჩასასვლელი ფულიც კი არ ჰქონდა. იუნუსი თავისი ჯიბიდან აძლევდა მათ გზის ფულს, შემდეგ ხშირად ჩააკითხავდა, თავს დასტრიალებდა, გებულობდა, როგორ სწავლობდნენ მისი წარმოგზავნილები, რა უჭირდათ და რა ულხინდათ.

იმ თაობის ახალგაზრდებიდან ახლაც ბევრს შევხვდით ხულოსა და შუახევის რაიონებში. როცა სიტყვას იუნუს ბერიძეზე ჩამოვაგდებთ, მათ სახე უბრწყინდებათ და მადლობის გამოსახატავად სიტყვებიც არ ჰყოფნით.

ბავშვებო! დღეს, როცა ადამიანს თანამედროვე ელეგანტური ტანსაცმელი ამკობს, ალბათ, ვერც წარმოიდგენთ, რომ იყო დრო, როცა ქალს ჩადრი უბურავდა სახეს და ქვეყნისათვის თავისუფლად შეხედვის საშუალებას უსპობდა. ჩადრი დაკავშირებულია ქალის კარჩაკეტილობასა და დამცირებასთან, მამაკაცისადმი მის მონამორჩილებასთან. ისლამმა ქალების მიერ საბურველის ტარება და მისი კარჩაკეტილობა ღვთაებრივ განაწესად აქცია. თურქმა ბარბაროსებმა აჭარელ ქალსაც მოახვიეს თავს ეს დამამცირებელი წესი, თანდათან აჭარელ ქალსაც წაერთვა ყოველგვარი უფლება და იგი მონად იქცა. ახალი დრო ვერ შეურიგდებოდა ქალის ასეთ დაბეჩავებულ ყოფას და იუნუს ბერიძეც ჩადგა ჩადრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. მას მხარში ამოუდგნენ მეუღლე მერიემი, კარის მეზობლები ხოშყედე დუმბაძე და ფადიმე ბერიძე. სწორედ მათ პირველებმა სოფლის ჯამეს* წინ მოიხადეს და ცეცხლს მისცეს ჩადრი. ამან გააცოფა რეაქციონერები. ჩადრის მგმობელებს ტერორიც კი მოუწყვეს. — ჩემს სახლს, — გვითხრა ხოშყედე დუმბაძემ, — ღამით ხმელი ნეკერის კონები შემოუწყვეს და ნავთი გადაასხეს. ის იყო, ცეცხლი უნდა წაეკიდებინათ, რომ კეთილმა კაცმა შეამჩნია და განგაში ატეხა. სოფელი მოგვეშველა და ასე გადავრჩით ცოცხლად ამობუგვას.

1929 წელი, აჭარის ქალთა პირველი ყრილობა. ფილიპე მახარაძის მგზნებარე სიტყვა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სოფლის მოწინავე ქალები. ყრილობის მონაწილე ქალებმა ერთსულოვნად მოიხადეს, დაგმეს და დაწვეს ჩადრი. ეს იყო ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის დიდი გამარჯვება.

---

* ჯამე — მაჰმადიანური საკულტო დაწესებულება.

— კარგად მახსოვს ამ ყრილობაზე მერიემის გამოსვლა. — გვეუბნება ფადიმე ბერიძე. — ამ გამოსვლით მან დაამტკიცა, რომ იუნუსის ღირსეული მეგობარი და თანამებრძოლი იყო. მე ვიცილებ ჩადრს, თქვა მან, მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ კიდევ უფრო დიდი ლაქა გვაქვს მოსაშორებელი. ეს არის უწიგნურობა და უმეცრება. ჩვენ გვინდა ვისწავლოთ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, გავხდეთ საზოგადოების ღირსეული წევრები. მოგიწოდებთ, ძვირფასო დებო, რომ დაეუფლოთ წიგნს, გამოხვიდეთ ოჯახის ვიწრო ნაჭუჭიდან და მეტი სარგებლობა მოუტანოთ ხალხს, მშობლიურ კუთხეს. ვთხოვ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, პირადად პატივცემულ ფილიპეს, დაგვეხმაროს ამ დიდ საქმეში.

დღეს იმ თაობის ქალებიდან ბევრი მეცნიერი, ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, პედაგოგი, კულტურისა და ხელოვნების მუშაკია და ამაში იმ პირველი მებრძოლი ქალების ღვაწლიც არის.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ხალხი შრომას ფერხულში იყო ჩაბმული და მომავალს იმედით შეჰყურებდა. მაგრამ იმავე 1929 წელს ხალხის მტრებმა კვლავ წამოყვეს თავი. გაცოფებულები კვლავ ცდილობდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, არ ინდობდნენ ახალი ცხოვრების ენთუზიასტებს.

მეტი რა ძალა იყო, იუნუს ბერიძემ და მისმა თანამოაზრეებმა კვლავ იარაღი აიღეს ხელში, ძალას ძალა დაუპირისპირეს. ახლაც ბევრია იმის მოწამე, თუ რა მამაცურად იბრძოდა ხულოთისა და ჭვანის ხეობებში იუნუს ბერიძე თავის მცირერიცხოვან რაზმთან ერთად. საბჭოთა ხელისუფლების ქომაგებს მალე წითელი არმიის ნაწილებიც მიეშველნენ და მოძალადეებს საკადრისი მიეზღოთ.

...მძიმე დღეები უკან დარჩა. ცხოვრება ჩადგა კალაპოტში. ხულოთის სასოფლო საბჭოს სოფლებში კოლმეურნეობები ჩამოყალიბდა. ძველებური საცალფეხო გზები ახალი ცხოვრების განვითარებისათვის შეუსაბამო იყო. 30-იან წლებში ზემო აჭარაში ფართოდ გაიშალა საგზაო მშენებლობა. იუნუს ბერიძის ინიციატივით დაიწყო ურთულესი საგზაო ტრასის — ხულოთა-ხიხაძირის გზის მშენებლობა, რომლის სიგრძე თითქმის 30 კილომეტრია. გასაჭრელი იყო ბევრი კლდე, გასატანი იყო დიდძალი ქვა და ღორღი, ასაშენებელი იყო ბევრი ხიდი, მაშინდელი ტექნიკისათვის ეს ერთობ ძნელი საქმე იყო. იუნუს ბერიძეს გზების მშენებლობის დიდი გამოცდილება ჰქონდა (ეს თედო სახოკიას წიგნიდანაც ჩანს). იგი სათავეში ჩაუდგა მშენებლებს

საინტერესო და ამაღელვებელი თემაა: ადამიანი და გზა. ყველაფერი იწყება გზით, და ადამიანიც იმის მიხედვით ფასდება, თუ რა გზას აირჩევს ცხოვრებაში. იუნუს ბერიძემ აირჩია ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზა, და ბოლომდე ამ გზის ერთგული დარჩა. დღეს ყველა, ვინც იუნუს ბერიძის მიერ გაკვალული გზით დადის, მადლიერია ამ ადამიანისა, არ ივიწყებს მის ამაგს.

ათი აკვანი დაირწა იუნუს ბერიძის ოჯახში, ოთხი ვაჟკაცი და ექვსი ქალიშვილი აღზარდა მან. იუნუსმა შვილებს შესაფერისი განათლება მისცა. 50-ს გადააჭარბა იუნუსის შვილების, შვილიშვილების და მათი შვილების რიცხვმა. ყველა ისინი ახლა თავიანთი სახელოვანი წინაპრისა და მისი თანამებრძოლების მიერ ბრძოლითა და შრომით მოპოვებული სიკეთით ხარობენ, და თავის მხრივ დიდი წვლილი შეაქვთ ამ სიკეთის გაზრდასა და გამრავლებაში. ტრადიცია გრძელდება...



# იყო და მარად იქნება

## მამია ვარშანიძე

იყო და მარად იქნება
ლურჯი ქედები და ჭალა.
იყო და მარად იქნება
ჩემი ფხიანი აჭარა.
იყო და მარად იქნება
ჩემი ტაო და კლარჯეთი.
იყო და აღარ იქნება,
აღარ იქნება ქაჯეთი.
იყო და მარად იქნება
ჩემი შავშეთი მწყაზარი.
იყო და მარად იქნება
ჩემი ხატი და ტაძარი.
იყო და მარად იქნება
ჩემი ლაზეთი ვეფხური;
იყო და მარად იქნება
„განდაგანა“ და „ფერხული“.
იყო და მარად იქნება
შუქმომფინარი ფერებით,
სამეგრელო და გურია,
კახეთი და იმერეთი.
იქნება ჩემი მესხეთი, —
სულ ჩემი მოსაფერები,
იქნება ქართლის ცა ლურჯი,
იქნება ჩვენი ხმელეთი,
ჩემი მიწის და ფერი ცის
მარადისობას შეერთვის,
იყო და მარად იქნება
ლურჯი ცა ამერ-იმერის,
იქნება მარად ჭაბუკი,
წილი არ უდევს ხნიერის.
იყო და მარად იქნება
ჩემი სამშობლო ხმიერი,
რუსთველის ტკბილი სავანე,
დიდი თამარის ივერი...
მამულო, იყავ კურთხეულ,
იყავი მარად ძლიერი!



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლის შენობა.

**ა. დიასამიძე**

# პირველი დამკვარი

ფოტო ა. ჩიგოგიძისა

სამი საუკუნე, სამასი წელი თურქთა უღელქვეშ გმინავდა საქართველოს უძველესი და ულამაზესი კუთხე — აჭარა, დამპყრობლები ბარბაროსულად სპობდნენ ქართული კულტურის დიდებულ ძეგლებს, სასტიკად ებრძოდნენ ქართულ ადათ-წესებს, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ მაჰმადიანობას.

სამი საუკუნე წყეული ჩადრი უფარავდა სახეს აჭარელ ქალს, დღენიადაგ იცრემლებოდა მშობლიურ, ქართულ სიტყვას დანატრულებული, იტანჯებოდა თვისტომს მოწყვეტილი აჭარელი ვაჟკაცი... მაგრამ ისინი მაინც ქართველებად დარჩნენ, სისხლით დაიცვეს ქართული ენა, სიტყვა და მადლი.

1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატით მრავალტანჯული აჭარა დაუბრუნდა დედა-სამშობლოს — საქართველოს. ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ი. გოგებაშვილი ამ მოვლენის გამო წერდა: ,,ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი ჩვენთან ერთად ,,მებრძოლი შავის ბედისა'', ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა''...

თურქ დამპყრობთა სამასწლიანი ბატონობისაგან განთავისუფლებულ აჭარლებს სათუთად ჰქონდათ შემონახული და დაცული ქართული ენა, მამაპაპური ადათ-წესები და ტრადიციები. მაგრამ რელიგიური ფანატიზმი, რასაც ძალით ნერგავდნენ აჭარლებში მაჰმადის რჯულის მსახურნი, აფერხებდა ქართველთა სულიერ შეკავშირებას, ამიტომ მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, ეროვნული მეობისა და დედაენის შენარჩუნება-დაცვისათვის არსად იმდენი ბრძოლა და შრომა არ დასჭირვებია, რამდენიც აჭარაში, მაშინ არსად ისე მწვავედ არ იდგა ქართული სიტყვისა და ქართული კულტურის აღდგენის საკითხი, როგორც ამ ახლადშემოერთებულ მხარეში.

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა უპირველეს მიზნად დაისახეს აჭარაში სწავლა-განათლების შეტანა. ამისათვის საჭირო იყო ქართული სკოლის გახსნა. მოწინავე აჭარლები, მგზნებარე მამულიშვილების შერიფ ხიმშიაშვილის, გულო კაიკაციშვილის, მემედ აბაშიძისა და სხვათა ენით აცნობებდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავიანთ უმეცრებას და სთხოვდნენ დახმარებას. საზოგადოებამ ყურად იღო ეს თხოვნა სკოლის გახსნის თაობაზე და გადაწყვიტა დახმარებოდა მათ. ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — დიდი ილია, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი დიდი ყურადღებით მოეკიდნენ აჭარაში ქართული სკოლის გახსნის საქმეს. 1880 წელს ეს საკითხი გამგეობის სხდომაზე განიხილეს. საკითხი დადებითად გადაწყდა. ამის გამო გამგეობის თხოვნით ბათუმში გაემგზავრა ნიკო ცხვედაძე, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა სკოლის გახსნის პირობები.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ შეარჩიეს სკოლისათვის გამოსადეგი სახლი, რომელიც მაშინდელი ,,ახმედიეს'' ქუჩაზე მდებარეობდა და ვინმე გაბარ-ოღლის ეკუთვნოდა.

1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა სკოლა. მის გახსნას დაესწრო ილია ჭავჭავაძე.

აჭარის მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ბათუმში ქართული სკოლის დაარსებას. ამ სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ ალექსანდრე ნანეიშვილი, მოსე ნათაძე, მიხეილ შარაშიძე, ისიდორე რამიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე მგელაძე და სხვები. მათ დიდი ამაგი დასდეს აჭარაში სახალხო განათლების განვითარებისა და ბათუმის სკოლის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს.

სკოლას პირველ ხანებში არ ჰქონდა საკუთარი შენობა. იგი უფრო მოგვიანებით აიგო. ამის მიღწევას საკმაოდ დიდი ბრძოლა დასჭირდა. ქალაქის თვითმმართველობამ სკოლისათვის სწორედ იქ გამოყო ადგილი, სადაც ახლა შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლაა.

1937 წელს სკოლას შოთა რუსთაველის სახელი მიეკუთვნა.

გავიდა დრო...

ძველ ფუძეზე შარშან ნათლის სვეტივით აღიმართა დიდებული ოთხსართულიანი შენობა. ახალმა სკოლამ სულ სხვა იერი, შნო და ლაზათი შემატა ქათქათა ბათუმს.

შესვენებაა. დიდ, ნათელ საკლასო ოთახებს, დერეფნებს, ფოიეს, ეზოს მოს-



მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს სკოლას, ალბათ ესეც არის მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატების მიზეზი.



მეცადინეობს სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი.

წავლეთა ხალისიანი ჟრიამული ავსებს.

აგერ სკოლის დირექტორი თამარ დოლიძეც გამოჩნდა, იგი დინჯად მიუყვება დერეფანს.

— შარშან სკოლაში,— გვეუბნება პატივცემული თამარი, — დაწესდა ვიმპელი „საზოგადოებრივი დავალების პირნათლად შესრულებისათვის". გაიშალა შეჯიბრება. რაზმი-რაზმს ეჯიბრებოდა, კლასი-კლასს. ყოველი თვის ბოლოს ჯამდებოდა შედეგები და გამარჯვებულს საზეიმო ვითარებაში გადაეცემოდა გარდამავალი ალამი, ხოლო წლის ბოლოს ვიმპელი.

საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელი მე-7¹ კლასია.

ამ ღონისძიების შედეგი ნათლად ჩანს. ირგვლივ ყველაფერი სარკესავით კრიალებს, ბრწყინავს.

— ჩვენი მიზანია, — განაგრძობს თამარ მასწავლებელი, — სკოლაში არ გვყავდეს მეორეწლიანები და ოროსნები. ვცდილობთ ისინიც გავუტოლოთ მოწინავეებს. ამ მიზნით ვიყენებთ რადიოგადაცემებს, კედლის გაზეთებს, ბავშვებს ვუტარებთ დამატებით გაკვეთილებს. ძნელადაღსაზრდელ მოსწავლეებზე საგანგებოდ არიან მიმაგრებულნი მასწავლებლები, რომლებიც ეხმარებიან და კონტროლს უწევენ ბავშვების საქმიანობას, ყოფა-ქცევას, როგორც სკოლაში, ისე გარეთაც.

შესვენებაზე პიონერთა ოთახი ბავშვებით ივსება. უფროსი პიონერხელმძღვანელი ვიოლეტა ბარამიძე გულისხმიერად ესაუბრება ნორჩებს, აძლევს მათ სათანადო ახსნა-განმარტებას, რჩევა-დარიგებას.

ბევრი სასახელო საქმის მოთავენი არიან აქაური პიონერები. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადებისას — პირნათლად შეასრულეს „ლენინური ორწლედით" გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

...ერთ დღეს პიონერხელმძღვანელს ნორჩებმა თავიანთი ჩანაფიქრი გაანდეს: სკოლაში შეჯიბრება გამოვაცხადოთო. იმ დღეს კიდევ ერთი გარდამავალი ვიმპელი დაწესდა. მას „სწავლა, სწავლა და სწავლა" დააწერეს.

ეს სამი წლის წინათ იყო. პიონერთა წამოწყებას ყველამ დაუჭირა მხარი და კლასებს შორის გაჩაღდა შეჯიბრი.

კლასები რგოლებად დაიყო. თითოეული რგოლი ცდილობდა არავისთვის დაეთმო პირველობა. ყოველ შაბათს აჯამებდნენ შედეგებს და გამარჯვებულ რგოლს გადასცემდნენ გარდამავალ ალამს. ეს ალამი ერთი კვირის განმავლობაში გამარჯვებული რგოლის პირველ მერხზე იყო მიმაგრებული. ასე გადიოდა დღეები, თვეები... წლის ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებული — მე-5¹ კლასი, რომელსაც საზეიმო ვითარებაში გადასცეს ვიმპელი. ამ კლასმა მომდევნო წელსაც არავის დაუთმო პირველობა, ხოლო შარშან მესამედ და სამუდამოდ დაისაკუთრა საპატიო ჯილდო. ეს ვიმ-

პელი ახლა ლენინის სასკოლო მუზეუმში ინახება.

კლასის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟების" წევრებმა: როენა ბასილაიამ, ნინო დოლიძემ, ნატო ცინცაძემ, ნინო კილაძემ, ნარიმან მაკარაშვილმა. ახლა ისინი მეშვიდეკლასელები არიან. მათი კლასი თითით საჩვენებელია სკოლაში.

პიონერთა საყვარელი ადგილია ლენინის სასკოლო მუზეუმი. აქ მუდამ ფუსფუსებენ ალისფერყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები, უფროსკლასელი მოსწავლეები, აქ მოდიან ისინიც, ვის მკერდსაც ოქტომბრელის ნიშანი ამშვენებს.

მუზეუმი ათი განყოფილებისაგან შედგება. ექსპოზიციები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის, რევოლუციური მოღვაწეობის ამბავს. საინტერესოდ და შინაარსიანად არის შედგენილი ალბომები: „ლენინის ბავშვობა და ყრმობა", „ლენინი და რევოლუცია", „ლენინური ადგილები".

ბავშვები სიყვარულით უვლიან მუზეუმის ექსპონატებს. მის მოწყობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ქეთინო თენეიშვილი, მარინე იშხნელიძე, ლეილა კეკელია, სესილია გუნთაიშვილი, თენგიზ ლომაძე და სხვები. მუზეუმის ერთ-ერთი საინტერესო ექსპონატია ნორჩების მიერ დამზადებული რაზლივის ქოხის მაკეტი, ბელადის სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები.

ლენინის მუზეუმს ბევრი სტუმარი ჰყავს. აქ მოდიან მასწავლებლები, ექიმები, ძველი რევოლუციონერები, შრომის ვეტერანები, მოსწავლეები. მუზეუმის დირექტორი მარინე იშხნელიძე და ლექტორ-კონსულტანტები საინტერესოდ მოუთხრობენ დამთვალიერებლებს ექსპოზიციებზე.

ბელადის მუზეუმში ეწყობა ოქტომბრელთა მიღება პიონერთა ორგანიზაციაში, ხოლო პიონერებისა — კომკავშირში. სკოლის კომკავშირის კომიტეტის ბიურო ყველა საპატიო საქმეს მუზეუმში განიხილავს და წყვეტს.

სკოლის თვითმოქმედ კოლექტივს დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი საქართველოს მეოთხე და მეხუთე ოლიმპიადების ლაურეატი, მრავალი მედლისა და დიპლომის მფლობელია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ამ ზაფხულს სკოლის თვითმოქმედი კოლექტივი მოსკოვში გაიგზავნა „მოსწავლეთა ფესტივალზე". აღსანიშნავია, რომ ასეთ დიდ ღონისძიებაში საქართველოდან პირველად მონაწილეობდა სკოლის თვითმოქმედი კოლექტივი.

საქართველოს წარგზავნილებმა დაათვალიერეს მოსკოვის ღირსშესანიშნავი ადგილები: წითელი მოედანი, კრემლი, მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, მუზეუმები, პიონერთა სასახლე. ბათუმელი ნორჩები ეწვივნენ პიონერთა ბანაკ „ორლიონოკს", გაეცნენ მოსკოველი თანატოლების საბანაკო ცხოვრებას, შემდეგ კი გამართეს კონცერტი და აღტაცებაში მოიყვანეს „ორლიონოკის" მობანაკე პიონერები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა პავილიონში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს სსრ მოსწავლის დღე. იმავე დღეს ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი კოლექტივის წევრებმა ცენტრალურ ღია ესტრადაზე გამართეს კონცერტი და თავიანთი ხელოვნებით მოხიბლეს მოსკოველები.

ეს უზარმაზარი მილები დღედაღამ აწვდიან გადამუშავებულ ნავთს საოკეანო ტანკერებს. მიდის ბაქოს ნავთი მსოფლიო ბაზარზე.



ჟიურის გადაწყვეტილებით სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიდი მედლები და პირველი ხარისხის დიპლომები გადაეცათ მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდებს, ხოლო სოლისტები სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდნენ.

ბათუმელ ნორჩთა შემოქმედებას მიეძღვნა ცენტრალური ტელევიზიის სპეციალური გადაცემა ბავშვებისათვის „ახალგაზრდული ფესტივალი“, 22 ივლისს ჩვენი ქვეყნის მილიონობით ტელემაყურებელმა ცისფერ ეკრანებზე გაიცნო ბათუმელთა ხელოვნება.

ნორჩი მომღერლები და მოცეკვავეები გამარჯვებულნი, მდიდარი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში.

●

ვინ არ იცნობს რუსუდან სიხარულიძეს — საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრს, საქართველოს აბსოლუტურ ჩემპიონს.

რუსუდანი ახლა მეათე კლასში სწავლობს. მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში უსახელებია თავი რუსიკოს. ბულგარეთში, გდრ-ში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ყველგან, სადაც კი გამოდიოდა, დიდ წარმატებას აღწევდა. რუსიკო ახლა საბჭოთა კავშირის ნაკრებშია შეყვანილი და გაცხოველებით ემზადება მსოფლიო პირველობისათვის.

ასევე ასახელა მშობლიური სკოლა მეცხრეკლასელმა ქეთინო გოგიჩაიშვილმა. ქეთინოც ტანმოვარჯიშეა. ეს პატარა, მკვირცხლი გოგონა მრავალი შეჯიბრების მონაწილეა. ქეთინო საქართველოს ნაკრების წევრია. წლეულს საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე თავისუფალ ვარჯიშში პირველობა არავის დაუთმო და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

●

— მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?

— მომავლის გეგმებზე? — წამით ჩაფიქრდა პატივცემული თამარი, — კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენს სკოლას მარტში 90 წელი უსრულდება და ახლა გულმოდგინედ ვემზადებით იუბილესათვის.

სახელოვან წინაპართა უკვდავსაყოფად სკოლა საფუძველს უყრის მუზეუმს, სადაც თავმოყრილი იქნება სკოლის წარსულის ამსახველი მასალები, დოკუმენტები. დაიწერება სკოლის ისტორია.



## ჯემალ ჯაყელი

# ჩვენ ვაგებთ პასუხს

ამ მაღალ დღისთვის,
დღეის დღისთვის განაწამები,
მთელი შეგნებით,
მთელი გულით,
მთელი გონებით
იბრძოდნენ ჩვენი ნერვიული,
ჯმუხი მამები—
ფარაჯიანი,
ჩექმიანი ლეგიონები.
ამ მზიან დღისთვის,—
რა სიკუშტით და
მრისხანებით,—
რომ ჩვენ არასდროს
ვყოფილიყავთ
ვინმეს მონები,—
იმსხვრეოდნენ და ეცემოდნენ
ჩვენი მამები,
ლეგენდარული
ლეგა-ლეგა
ლეგიონები!
მათ გაათენეს,
გაანათეს,
გააცისკარეს,
მაშინ გაცივდნენ,
როს გაათბეს მიწა
სხეულით.
მერე და მერე,
ეს დაცემა რომ არ იკმარეს,
სახნისად მოგვცეს სატევარი
გადამსხვრეული.
ჩვენ ვაგებთ პასუხს,
ეს სახნისი რომ იქცეს ხმალად,
რომ თავსაყარად არ მოვიდეს
პური, ხორბალი.
ჩვენ ვაგებთ პასუხს,
რომ მოაკლდეს მდინარეს
ძალა
და წამიერად რომ
შენელდეს
სადმე ბორბალი.
ჩვენ ვაგებთ პასუხს
და არა სხვები,
ხელი და გული რომ მოაკლდეს
ხიდსა და კედელს.
ჩვენ ვაგებთ პასუხს,
თუ კი სადმე ჩეროში
სიედან
და ფერად შუშით
გაჰყურებენ
მთებსა და ქედებს.
ჩვენ ვაგებთ პასუხს—
ეს ჩქარი და ცხელი წამები
თუ არ შეიკრა სასწაულის
დღეთა კონებად,
რადგან ამ დღისთვის
ჯვარცმული და განაწამები
ჩვენი მამები დაილეწნენ
ლეგიონებად!
ჩვენ ვაგებთ პასუხს,
რომ იაროს ვინმემ
ულირსად
და მოდისათვის დაიმშვენოს
თავი ჭაღარით.
ჩვენ ვაგებთ პასუხს,
თუ სიმაღლე დღევანდელ
დღისა
გუშინდელ დღეზე
არ აღმოჩნდეს უფრო
მაღალი;
რადგან ამ დღისთვის,
დღეის დღისთვის
განაწამები,
მთელი შეგნებით,
მთელი რწმენით,
მთელი გონებით
ცხრაასჩვიდმეტში
ეცემოდნენ ჩვენი მამები—
დიდი ბელადის
ძმადნაფიცი ლეგიონები!



**ნესტორ მალაზონია**

## სიცოცხლე მინდა



აი, დაეშვა მზე მთის გადაღმა,
ალბათ ზღვაც მალე ჩაიკრავს გულში.
გაცრეცილ ბაღში ვარდი გადახმა,—
მერე რა წითლად ღუოდა გუშინ!

იცის საღამომ ლურჯი ფიქრები,
მთებში წამოშლის ჯადოს და მისანს,
ცაში მცინარე მთვარის ფიფქები
ვერცხლით დაფერავს ნაკვალევს მზისას.

მზეც კარგია და მთვარეც ლამაზი,
ისიც კარგია, ერთურთს რომ ცვლიან,
ჯვარმაც შეცვალა ძველი არმაზი
და ჯვარიც სხვებმა შეცვალეს გვიან.

ქვეყნად ასეა: სწრაფსა თუ მდორეს—
ყველას თავისი ყავლი და დრო აქვს!
მეუბნებიან, თითქოს სიბერეს
მხოლოდ სიბრძნე და ჭაღარა მოაქვს.

რატომ სათქმელი ბურუსში ვხვიოთ?
ეს სილამაზედ არც მიმაჩნია.
მე იმ პოეტებს მინდა ვემთხვიო,
ვინც აზრის ნათელ თქმას მიმაჩვია.

არ მინდა ვიყო მე მატყუარა,
სურვილს და ფიქრებს ვფარავდე ბინდად.
სიცოცხლე მინდა... და ეს თუ არა,
მისი ბადალი სიკვდილი მინდა!

**ურიდონ ხალვაში**

## ბათუმის წვიმა



ხანდახან გული ძლიერ დამეწვის,
რომ აძაგებენ ბათუმის წვიმას;
მათ არ იციან, შტოზე წვეთები
რა სევდიანი ღიმილით ბრწყინავს.

მათ არ იციან, წვიმა შხაპუნა
რას ეუბნება თვითეულ ფოთოლს,
არ შეუძლიათ სახურავებზე
დაქცეულ წვეთის ხმა შეიცოდონ.

მათ არ იციან, როგორ უხდება
ხეებს, ქუჩებს და სივრცეს მთებიანს,
როცა ღრუბლიდან თბილი თქეშები
ქალის თმებივით დაეშვებიან;

როცა მაღალი მაგნოლიები
ზღვაურის ალერსს ინაწილებენ
და ხორუმივით დახვეულ ტალღებს
კენჭების ტაშით მიაცილებენ.

თუ დაფიქრებით ყური მიუგდე
მტირალ ბავშვივით ლამაზ ბუნებას,
შენ გაიგონებ, შენ დარწმუნდები,
რომ წვიმა ტკბილად გესაუბრება.

**იაკობ მელია**

## დიდი სიცოცხლე

ცისა და მიწის
გაჩენის დღიდან,
ადამიანის
გაჩენის დღიდან,
როდესაც კვირტი
განათდა ხიდან,
შტოებმა იწყეს
ყვავილის ფრქვევა,
ვიცი,
კაცს როგორ ტანჯავდა ზეცა,—
სიტყვა სათქმელი
არ ჰქონდა მზესაც.
მძიმედ ვიდოდნენ
საუკუნენი
ცისა და მიწის
გაჩენის დღიდან...
მე ვაქებ
იმ დღეს,
ოდეს სიმბირსკში
მდინარეებში თოვლი აყვირდა...
მზემ არტახები
მიწას შემოხსნა,
სიცოცხლე
ახლად გაგვიაპრილდა
და გაზაფხული
გაბრწყინდა ელვით
და გაზაფხული
ეწოდა ლენინს.
დიდი სიცოცხლე დაიწყო იმ დღეს
და შევიყვარეთ სიცოცხლე ჩვენი.





დღეს ისე არ გავა, რომ ასეთი საოკეანო ლაინერი არ მიადგეს ბათუმის ნავსადგურს. ოდესღაც პროვინციული დაბა, ახლა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარ საზღვაო ჭიშკრად იქცა.



სულ მაღლა და მაღლა მიიწევს ოდესღაც დაბალსართულებიანი ბათუმი.

ამ გიგანტური ამწეებით იტვირთება საოკეანო გემების ტრიუმები.





აი, ასეთი იყო ბათუმის ნავსადგური ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

დღევანდელი ბათუმის სტუმარი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ასეთ სახლებში ცხოვრობდნენ რევოლუციამდე ბათუმელი მშრომელები. (სურათი გადაღებულია 1900 წელს).





ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკის მოცეკვავეთა ანსამბლ „გაზაფხულის" სოლისტთა ჯგუფი.



ათასობით საბჭოთა მშრომელი ისვენებს ჯანმრთელობას მარადმწვანე ხეივნებში ჩაფლულ სანატორიუმ „აჭარაში"

ბავშვებო, თქვენ უთუოდ ხშირად გსმენიათ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის შესახებ. ეს ქარხანა პირველი ხუთწლედის პირმშოა. მან პირველი პროდუქცია 1929 წლის 16 მაისს გამოუშვა. დღეს კი ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა საწარმო-გიგანტია, რომელიც ტექნიკისა და ტექნოლოგიის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით არის აღჭურვილი და დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო წარმატებებში. იგი ოცამდე სხვადასხვა მრავალხარისხოვან ნავთობპროდუქტს იძლევა. მისი პროდუქციის დიდი ნაწილი უცხოეთის ქვეყნებში იგზავნება. მენავთობეთა დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ბათუმში დაინერგა ეკონომიური, სუფთა და მოსახერხებელი საწვავის — თხევადი გაზის მასობრივი გამოყენება, რომელმაც ქვარტლიანი ნავთქურები შეცვალა. თხევადი საყოფაცხოვრებო გაზის გამოშვება ქარხანამ 1957-58 წლებში დაიწყო. მომდევნო წლებში ბევრი სიახლე დაინერგა წარმოებაში. წინათ ზეთები ქარხანაში რეაგენტებით, ტუტეებითა და გოგირდმჟავათი — მომწამლავი ნივთიერებებით იწმინდებოდა, რაც ტექნოლოგიურად რთული იყო და ზღვასაც აჭუჭყიანებდა. ახალი დანადგარისათვის რეაგენტები საჭირო არ არის, ზეთს ნაკლები დანაკარგები აქვს და, რაც მთავარია, მკვეთრად გაუმჯობესდა ზეთის ხარისხი. მას დიდი გასავალი აქვს საერთაშორისო ბაზარზე. ეს დანადგარი საბჭოთა მანქანათმშენებლობის შედევრია.

თვალსაჩინო მიღწევებით, მომავლის გეგმებითა და პერსპექტივებით ხვდება მენავთობეთა სახელოვანი კოლექტივი დიდ იუბილეს.

11.301



# ბიჭები

მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი

**თამაზ ფიფია**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ფართო, მტვრიანი და ოღრო-ჩოღრო შარაგზა ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლებთან, მწვანედ აღაღანებული მინდვრებისაკენ უხვევდა, ჩარიგებული ჭადრების ამალითურთ გადადიოდა მომცრო გორაკებზე და ხეხილის ბაღებში ჩაფლული გრძელდებოდა თვალდასაკარგავამდე.

ბიჭები გზისპირა ბორცვებზე ისხდნენ და ლაზღანდრობდნენ. დამტვერილ ხელებს შიშველ წვივებზე იტყაპუნებდნენ და თან კენჭების უმიზნო სროლით ერთობოდნენ. თუ მოსმენილი ამბავი სასაცილო იყო, ისე იჭაჭებოდნენ, თითქოს ერთმანეთს გვერდებში უღიტინებენო.

უბანში ცნობილი ჩხუბისთავი, მწითური, ჭორფლიანი ბიტუ ქედმაღლურად იჯდა შუაში და ჰყვებოდა თუ როგორ სცემა ერთ მეშვიდეკლასელ „ბეხრეწს", რომელსაც ვეება მკლავები ჰქონდა, მაგრამ ბიტუმ იმარჯვა თურმე და მუცელში ჩაარტყა მუშტი. ბეხრეწს სიმწრისაგან თავი რომ დაუხრია, ბიტუმ თურმე დასცხო და დასცხო. მერე სხვა ამბებიც მოაყოლა: ერთ ბიჭს, ცალი ხელი ქამარში ჩავიტნიე და ისე ვეჩხუბეო.

რეზიკო და თენგიზი აღტაცებული იყვნენ. ვახ!.. ვახ!.. — გაიძახდნენ ისინი. ბიტუს ყოველი სასიქადულო ამბის მოყოლის შემდეგ გამარჯვებული გმირის იერი ჰქონდა.

— დღეს ნახავთ, რას ვუზამ იმ თავგასიებულს! აწი გამოჩნდება ალბათ საცაა, — საზეიმო კილოთი თქვა ბიტუმ, მერე ამხანაგებს გადახედა და ხმას დაუდაბლა; ხომ იცით, თუ ცოტა გამიჭირდა, თქვენი იმედიც მაქვს.

— აგერ არა ვართ! კარგი დღე კი დაადგება! — ხმაში მუქარა ჩააქსოვა რეზიკომ.

— ერთი სარმა და მორჩა! მერე მოვუვლი.

— ჰო, თუ იქამდე მივიდა საქმე, — ორჭოფულად სთქვა თენგიზმა, — გაგიძლებს ვითომ?

— ისე ვამბობ...

— თუ თქვა, დამესიენო? — მოიქექა თავი თენგიზმა.

— აქაური მაინც არაა. თავის სოფელში გავატანოთ ამბავი, როგორ იციან პატივისცემა ქალაქელმა ბიჭებმა, — ავტორიტეტულად ჩაურთო რეზიკომ.

ბიჭების ქალაქი სოფლისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ აქ იყო ჩაის ფაბრიკა, სახერხი ქარხანა და რამდენიმე ქუჩა. უფროსები მას დაბას უწოდებდნენ, მაგრამ ბიჭებისათვის ეს დაბა, ახლომახლო მდებარე სოფლებთან შედარებით, ნამდვილად დიდი და პატივსაცემი ქალაქი იყო, რაც განსაკუთრებით კარგად უნდა ეგრძნოთ თანატოლ სოფლელებს, ზოგჯერ საყიდლებზე ან სათამაშოდ რომ ჩამოდიოდნენ.

— აგერ, მამუკაც მოდის, — გაუხარდა რეზიკოს.

— როგორც იქნა გამოეტია, — თქვა ბიტუმ და მერე ზიზღით დაუმატა: — შინიდან არ უშვებენ, რაღაცნაირი მშობლები ჰყავს.

— ცუდები არ არიან, ნუ აგინებ, — უთხრა თენგიზმა.

— რაში მენაღვლებიან. ერთხელ კინაღამ ყური ამახ-



ლიჩა მამამისმა, სარდიონია თუ ვიღაცა. იმის მერე ვერ ვიტან.

— საშინელი კაცია, — ბიტუს მიერ სარდიონის დახასიათებამ ვერ დააკმაყოფილა რეზიკო, — მამუკას კი ზოგჯერ ისე ამხანაგურად, ექცევა, რომ გაგიკვირდება. ბურთს ეთამაშება, ჰანტელებით ავარჯიშებს.

— ამიტომაცაა მამუკას რკინასავით „მუსკულები“ რომ აქვს, —შურნარევი სიამაყით თქვა თენგიზმა. ის ყველაზე ახლოს ცხოვრობდა მამუკასთან და მასთან ამხანაგობით თავი მოჰქონდა. მართალია, მამუკას ჩხუბი არ უყვარდა, მაგრამ ჯმუხი და ღონიერი იყო. ბიჭები ვერაფერს უბედავდნენ.

— ეჰეი!.. — გაისმა შეძახილი.

— იუუ... — გაეხმაურნენ ბიჭები მამუკას.

— რა ამბავია?

— ერთ იქეთურს ჭკუა უნდა ვასწავლოთ, — რეზიკომ ხელი გაიშვირა სოფლისკენ.

— რატომ?

— საცემი ვიღაცაა, — აენთო თვალები ბიტუს, -- მივდივარ ამას წინეებზე და ვხედავ, ფაბრიკის სასადილოს კედელზე ველოსიპედია მიყუდებული. მივედი, გავსინჯე. ცუდი არ იყო. ვიფიქრე, ერთს გავიქროლ-გამოვიქროლებ-მეთქი და შევჯექი. თურმე მაგისი ყოფილა, გამოვარდა და მეცა. სად მიგყავს, ჩემიაო. მე ვუთხარი, „გავიკატავებ“ და დაგიბრუნებ-მეთქი. არაო. წარმოგიდგენია? გაჯიუტდა, დგას და ველოსიპედს ხელს არ უშვებს. გადავწყვიტე, მივაკერებ ერთს სიფათში და მერე ჯანდაბას მაგისი თავი და ველოსიპედი-მეთქი. მაგრამ ამ დროს ვიღაც კაცი გამოვიდა და გამოელაპარაკა. მერე ის კაცი იქვე შორიახლოს დადგა. მე ვუთხარი, იმისი იმედი გაქვს-მეთქი? წადი ახლა, თორემ მოგაკერებო. წარმოგიდგენია? იმისი იმედი ჰქონდა, თორემ რას გაბედავდა. სულ დავბრდღვნიდი. ცნახავ და მოგივლი-მეთქი. ერთი საათია ზევით აიარა. უკან პატარა ლაწირაკი ეჯდა. ალბათ მალე ჩამოივლის.

— უნდა ეჩხუბო?

— მაშ!

თემომ მეპურეს ხურდა ფული გადაუთვალა, ჯიბეში ჩაჭუჭკული გაზეთი გაშალა და შუაზე გადაკეცილი ცხელი ლავაში შიგ გაახვია, მერე წვრილად ნაქსოვ ბადურაში ჩადო და ველოსიპედის საჭეზე ჩამოკიდა.

— აბა, დაჯექი უკან, ხელი მაგრად მომკიდე, — გააფრთხილა უმცროსი ძმა.

ოღრო-ჩოღრო შარაზე რომ გავიდნენ, ველოსიპედი ჯაგლაგი ცხენივით აჩინდრიკდა, მაგრამ თემო ყურადღებას არ აქცევდა. სწრაფად მოჰქროდა.

— აჩუ, აჩუ! — იძახდა გახარებული გია.

— ნუ ყვირი. — გაუწყრა თემო, — ტყეში კი არა ხარ!

ძმის სიტყვებზე გიას ყურიც არ შეუბერტყია და უფრო ხმამაღლა დასჭყივლა:

— მიდი, მიდი, არსენა!



ამგვარი შეძახილი სადღაც გაეგონა და ახლა რომ გამოადგა, ძალზე გაიხარა.

თემომ შორიდანვე შეამჩნია ბორცვზე მჯდარი ბიჭები. როცა ისინი წამოიშალნენ და გზისკენ გამოემართნენ, გულმა რეჩხი უყო, მოსალოდნელი უსიამოვნება იგრძნო.

ბიჭებმა გზაზე გასასვლელი ჩაკეტეს.

— შეჩერდი! — უყვირა ბიტუმ.

თემომ ველოსიპედი ზედ მის ცხვირწინ დაამუხრუჭა.

— ვერ მიცანი? — იღმიჭებოდა ბიტუ. — ძველი ნაცნობი ვარ შენი. აი, ველოსიპედი რომ არ მათხოვე!

თემოს გაახსენდა ეს ბიჭი, ეს ჭორფლიანი სახე და მოჭუტული, დამცინავი მზერა. მაშინაც ასე იყურებოდა, მაგრამ მერე კი იკადრა და გაიძურწა. ახლა სითამამე ემატებოდა, უფრო არხეინად გრძნობდა თავს. ალბათ იმიტომ, რომ ზურგს უკან სამი დარდიმანდულად ფეხებგა-

ფარჩხული ბიჭი ედგა. მათი კუშტად შეკრული წარბები და სეირის მოლოდინით აციაგებული თვალები კარვს არაფერს მოასწავებდა.

გია უკვე ჩამომხტარიყო და უფროსების საუბარს დოინჯშემოყრილი უსმენდა.

— რა გინდა მერე! — მიუგო თემომ.

— ვნახოთ რა ბიჭიცა ხარ. — კვლავ ხტოდნენ ეშმაკური, ავი ნაპერწკლები ბიტუს თვალებში.

— ძალით გინდოდა წაგეყვანა, — თქვა თემომ. — ძალით ჩემგან ვერაფერს წაიღებ.

— ოჰო, მართლა მაგარი ყოფილხარ. აბა აქეთ გამოიწი! — დაუბრიალა თვალები ბიტუმ და განზე გადგა.

ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა: უმცროს ძმას არაფრად ეპიტნავა უფროსს ასეთი ტონით რომ ელაპარაკებოდნენ და გვერდით ჩავლილ ბიტუს ფეხსაცმლის წვერი კოჭში ისე გაჰკრა, თითქოს ბურთი ყოფილიყოს. მერე გზისპირა თხრილში ჩაცუცქდა და მუჭები სწრაფად გაივსო ქვებით.

— რა გინდა თემოსაგან! — სასაცილო სანახავი იყო აფოფრილი და მამლაყინწასავით კისერწაგრძელებული გია.

— ოხ... შე... — დაიქუხა ბიტუმ.

პანღური ისე მწვავე იყო, რომ გიამ ქვები დაყარა და აღრიალდა.

— პატარასთან რას ვაჟკაცობ, ხელი არ ახლო! — დაუყვირა თემომ ბიტუს და ველოსიპედი გვერდზე მიაგდო.

ბიტუ შემობრუნდა.

გაბოროტებით მიაჩერდნენ ერთმანეთს.

— მოიცათ! — შუაში ჩადგა მამუკა. — აქ დაგვინახავენ და დავიდარაბა ატყდება.

— აქეთ წამოდი! — ბიტუმ მბრძანებლურად მიუთითა თემოს გაშლილი მინდვრისაკენ.

— სადაც გინდა...

— აი რა, ჩემო ძმაო, — ჩაერია რეზიკო, — აქაურ ბიჭს რომ აწყენინე, რას ფიქრობდი?

თემომ ამრეზილად შეხედა და პასუხი არ გასცა.

— გაჩუმდი! — გულმოსულად შეუძახა ძმას, რომელიც ღრიალს განაგრძობდა.

— აქეთ სჯობს, — თენგიზმა ხელი ფერდობისკენ გაიშვირა.

— თუ ბიჭია მარტო წამოვიდეს!

— ჩვენ მაყურებლები ვიქნებით, — გაიცინა რეზიკომ, — ან იქნებ მსაჯობა დაგჭირდეთ.

ბიჭებმა მინდვრისაკენ გაუხვიეს. საქმიანი იერით მიდიოდნენ. ნირწამხდარი გია ყველაზე ბოლოს მიჩანჩალებდა და მუშტებით ცრემლიან თვალებს ისრესდა. ვერ გაეგო, რატომ დახვდნენ მათ გზაზე, რა დააშავეს ისეთი, რომ ასე ცუდად ექცეოდნენ. მაგრამ ერთი რამ კი უკვე ცხადი იყო: უფროს ძმას ცემას უპირებდნენ. ეს ამბავი ცოტა საინტერესოც ჩანდა, რადგან ძმის ღონე და უძლეველობა სჯეროდა.

ბიჭებმა ადგილი სახელდახელოდ შეარჩიეს. ხასხასა მდელოზე ქვები არსად არ ეყარა.

თემო ცოტა შემკრთალი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა.

— ბრალი არაფერი მაქვს, — უთხრა მან ბიტუს, — ამხანაგების იმედით ნუ იმუქრები. რა გინდა ჩემგან, რას მერჩი!

— ჩვენ ნუ გვეხები, — გაჯავრდა მამუკა. — ერთი ერთზე ხართ.

თემომ იჭვნეულად გაიღიმა.

— აბა, მაშინ თქვენ შორს დადექით.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! — დააბრიალა თვალები რეზიკომ, — თუ გინდა ეჩხუბე, ანდა თქვი, რომ მხდალი ხარ, დაიჩოქე და გაგიშვებთ.

— მოვიდეს! — გაცხარდა თემო და მკლავები აიკაპიწა. — აგერ ვარ და მოდი!

ბიჭებმა მოჩხუბრების გარშემო წრე შეკრეს.

გია ყველაზე წინ დადგა.

ხელები ჩამოშვებული ჰქონდათ. გაავთრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში და ნაბიჯებს კატასავით მსუბუქად ადგამდნენ. ქშინავდნენ და ნელა მიიწევდნენ წინ. მერე ბიტუმ მარჯვენა მუშტი ნიკაპთან მიიკრა. მარცხენას ზიგზაგურად იქნევდა. ამგვარი რამ კრივში შეჯიბრებებიდან გადმოეღო და მოწინააღმდეგის დასაბნევად მისი საყვარელი ხერხი იყო.

პირველად ბიტუმ გაარტყა. ეს დარტყმა მხარში წაფართხუნებას უფრო ჰგავდა, მაგრამ თითქოს ნიშანი იყო და ორივე მხრიდან სეტყვასავით წამოვიდა მუშტები. მერე ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ და დაძიძგილავდნენ. როცა მიწაზე გაგორდნენ, ყველამ დაინახა, რომ ბიტუ ქვეშ მოყოლოდა და თავის დაძვრენას ამაოდ ლამობდა.

რეზიკო მოჩხუბრებს მიუახლოვდა, აწრიალდა, მერე უცებ თემოს ჩამოშლილ პერანგში ხელი სტაცა და გადმოძალა. ბიტუმ დრო იხელთა, მოწინააღმდეგეს ბარძაყში ჩააფრინდა, ამოატრიალა და ზემოდან დააწვა.

— შენ რა გინდა! რატომ ჩაერიე! — იყვირა უმცროსმა ძმამ და რეზიკოს ეცა. ფეხებს, თავს, ყველაფერს ერთად იქნევდა და ღრიალებდა.

— გაჩუმდი, თორემ დაგახრჩობ! — ყელში წაუჭირა ხელი რეზიკომ.

— გაუშვი! — დაუყვირა მამუკამ — გაუშვი, თორემ...

— რა მოგივიდა! — გაოცდა რეზიკო.

— რა და, ნამდვილი ღორი ხარ! ხელი გაუშვი-მეთქი!

გიას უცნობის გამოსარჩლება ესიამოვნა და ხმა გაკმინდა.

თემოს ბიტუ კვლავ ქვეშ მოექცია.

— გეყოფათ! — მივარდა მამუკა. — მოჰკიდე ხელი, გავაშველოთ, — დაუყვირა თენგიზს.

ბიტუს ტუჩი გახეთქილი ჰქონდა და სისხლი სდიოდა.

— გამიშვით! — ყვიროდა, იკლაკნებოდა.

— გაჩერდი! გეყოფა! — ძლივს ამაგრებდა მამუკა.

თემო ჩამოშლილ ქოჩორს ისწორებდა. სახე ყვინჩილას ბიბილოსავით ჰქონდა გაწითლებული და მკერდი აჩქარებით აუდ-ჩაუდიოდა. იგი უკვე დარწმუნებული იყო თავის ძალაში და ბიტუს ბღლარძუნს დამცინავად ადევნებდა თვალს.

მამუკამ ბიტუ განზე გაათრია.

— გაჩერდი, ხომ ხედავ, გერევა.

— შენ იმის მხარეზე ხარ? გამყიდე ხომ?..

მამუკას პასუხი არ გაუცია. ხელი კვლავ მტკიცედ ჰქონდა ჩავლებული და არ უშვებდა. მას დანახვისთანავე მოეწონა ძმები, — მათს თვალებში ბიჭური სიამაყე და ალალმართლობა დაინახა. გამოსარჩლებაზე მაშინ მაინც არ უფიქრია, რადგან თავს ვალდებულად თვლიდა ბიტუს მხარე დაეჭირა.

— გაუშვი! — მივარდა რეზიკო.

— წავიდეს. ჰა, მიდი! — თითქმის უბიძგა მამუკამ ბიტუს. — რეზიკო, შენ ფეხი არ მოიცვალო!

— არ გინდათ მეტი! — ჩხუბის უფრო გამწვავება არ სურდა თენგიზს.

— მეგობრები მეგონეთ!.. — გმინავდა ბიტუ.

— რამ შეგაშინა, მიდი... — გაიქაჩა რეზიკო.

— როგორც კი ჩაერევი, გაგარტყამ, — გამოსცრა მამუკამ.

— შენ?! რატომ?

— იკვლიე მერე!

ბიტუ თემოს მიუახლოვდა, დამფრთხალი იყო და თავდასხმა ვერ გადაეწყვიტა. უცებ მობრუნდა და აღრიალდა:

— მამუკა, გადაგიხდი სამაგიეროს!

— სხვები დააშინე. ტრაბახი იცი, მეტი რისი მაქნისი ხარ.

— ვნახოთ, კარგი... კარგი... — ქლოშინებდა ბიტუ და თავს იქნევდა.

— წადი ახლა, სანამ მეც არ დამიმატებია.

— მამუკას ხმაში საზღვარგადასულმა სიბრაზემ გაჟღერა.

ბიტუ მიხვდა, რომ შეპასუხება სახიფათო იქნებოდა.

— არ შეგარჩენთ, — ყველას მისამართით ჩაიბურტყუნა ბიტუმ, იქ მყოფთ ზურგი შეაქცია და გზისკენ გამართა. მიდიოდა მოკუნტული, დაჩიავებული, დასისხლიანებული, სახეზე კი ბრაზი, სასოწარკვეთილება აღბეჭდოდა.

ერთხანს ყველანი დუმდნენ.

რეზიკო მამუკაზე იყო გაბრაზებული, მაგრამ ვერაფერი შებედა და უხმოდ გაეცალა.

თემოს საქმის ასე შეტრიალება ეუცნაურა. ვერ გაეგო, ამ უცხო ბიჭმა მისი გულისთვის ამხანაგებს რატომ აწყენინა. მხარდაჭერით ცოტა უხერხულობაც კი იგრძნო.

— ჩხუბი არ მინდოდა, — ბიჭების გასაგონად ჩაილაპარაკა მან.

— მოუხდება! — კმაყოფილი ჩანდა მამუკა. — ყოყლოჩინაა და მოუხდება.

— ამიხირდა, გინდა თუ არა, მომეციო...

— ვიცი, მართალი იქნებოდი.

— მადლობელი ვარ შენი.

— კარგი ერთი.

თემო დაიხარა და ველოსიპედი წამოაყენა, შპიცები მოუსინჯა, გვერდზე გადავარდნილი ლავაშიანი ბადურა ისევ საჭეზე ჩამოკიდა.

— დაჯექი! — დაუძახა უმცროს ძმას.

გია მამუკასა და თენგიზს ინტერესით ათვალიერებდა. დაძახილზე წამობაჯბაჯდა და თემოს უკან შემოსკუპდა. მერე კვლავ უცნობ ბიჭებს შეხედა, მომუჭული ხელი ასწია და გაშალა.

— კარგი ბიჭია! — გაეღიმა თენგიზს.

— არ გადმოვარდე! — ცერად გადმოხედა თემომ.

— გადმოვვარდე არა!.. — აიმრიზა გია.

— შინ რომ მივალთ, დედას უთხარი, მიხაკო ბიძიასთან გავიარეთ და იმიტომ შეგვაგვიანდა-თქო. ხომ გესმის!

— ჰო, — უკმეხად, მაგრამ დამაჯერებელი კილოთი მიუგო უმცროსმა ძმამ.

— კარგად იყავით.

— კარგად.

მამუკამ ძმებს ხელი დაუქნია, მერე — თენგიზმაც.

ველოსიპედზე მჯდარნი სწორ შარაგზაზე ერთხანს წერტილივით ჩანდნენ და მერე ხეხილის ორღობეში სულ გაუჩინარდნენ.



# ოპერაცია ჩუკოტკა

# 70009

ჩუკოტკაზე პიონერთა სასახლე შენდება. მისი აგება დიდი თანხა ჯდება. მოსკოველმა პიონერებმა გადაწყვიტეს დახმარების ხელი გაეწოდებინათ ჩუკოტკელი მეგობრებისათვის და სხვებსაც მოუწოდეს მონაწილეობა მიეღოთ ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

მოსკოველმა პიონერებმა ამ წამოწყებას ოპერაცია „ჩუკოტკა" უწოდეს. მათ დაადგინეს, რომ ის სახსრები, რასაც პიონერები შეაგროვებენ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობებში მუშაობით, შაბათობებზე, ქალაქის გამწვანება-გასუფთავების სამუშაოებზე, მაკულატურის შეგროვებით, თუ სხვა ღონისძიებებით, გადაგზავნონ ჩუკოტკის პიონერთა სასახლის მშენებლობის საჭიროებისათვის. მოსკოველი პიონერების ამ წამოწყებას მხარი აუბეს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის პიონერებმა. საქართველოს პიონერიამ ანგარიშზე — 70009 — უკვე ჩარიცხა 18.000 მანეთი. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ამ ოპერაციაში გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ქობულეთის, თბილისის პირველი მაისისა და ლენინის რაიონების პიონერებმა.

მოდით გავიხსენოთ, ჩვენი სამშობლოს რომელ კუთხეში მდებარეობს ჩუკოტკა, მამაცი მოგზაურებისა და მკვლევარების მარადიული სწრაფვის ეს მხარე.. ვინ ცხოვრობს იქ? როგორია მისი ბუნება?

ჩუკოტკა აღმოსავლეთ ციმბირის ერთ-ერთი ვრცელი კუთხეა. მას უჭირავს ჩუკოტკის ნახევარკუნძული და მის გარშემო მდებარე პატარ-პატარა კუნძულები: ვრანგელი, აიონი, რატმანოვი და სხვა. ნახევარკუნძულს გარშემო აკრავს აღმოსავლეთ ციმბირის, ჩუკოტკისა და ბერინგის ზღვები, თქვენ ალბათ ბევრჯერ მოგიძებნიათ რუკაზე ბერინგის სრუტე, რომელიც ჩუკოტკის ნახევარკუნძულს ამერიკისაგან ჰყოფს. იცით ნახევარკუნძული ალიასკა. ეს მხარე ჯეკ ლონდონის მოთხრობებითაც გეხსომებათ. ოქროს მაძიებლების უმეტესობა სამუდამოდ რჩებოდა ალიასკის ყინულებში. ისიც გეცოდინებათ ჩვენი ქვეყნის უკიდურესი აღმოსავლეთის პუნქტი — დეჟნევის კონცხი ჩუკოტკის ნახევარკუნძულზე რომ მდებარეობს. ჩუკოტკის ზღვაზე ხშირად აღინიშნება — მინუს 49 გრადუსი. ამ დროს ეს ზღვა მთლიანი ყინულით იფარება და ივლისის მეორე ნახევრამდე ზღვაოსნობისათვის გამოუსადეგარი ხდება. ეს მხარე ყველაზე უფრო მდიდარია ოქროთი, კალით, ვოლფრამით. აქ ყველაზე ბევრი ირემია აღრიცხული — 500 ათასზე მეტი. ირემი გამოყენებულია ტრანსპორტად, ცხადია, იყენებენ აგრეთვე მის ხორცს, ტყავს, ცხიმს. ამ მხარეში ბინადრობენ: ვერცხლისფერი მელა, ცისფერი ყარსაღი, ციყვი, წავი. ჩუკოტკა ძვირფასი ბეწვეულის დამზადების ერთ-ერთი მოწინავე მხარეა. ბეწვეულის საერთაშორისო ბაზრობაზე აქაურ ბეწვს დიდი გასავალი აქვს.

ჩუკოტკაზე ცხოვრობენ: ჩუქჩები, ესკიმოსები, ევენები, იაკუტები, იუკაგირები. იქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა ბეწვეულის წარმოება, სამთომომპოვებელი მრეწველობა და მეირმეობა.

...მიჭქრის მარხილი თვალუწვდენელ უკაცრიელ ველებზე, მიჭქრის ზანზალაკების წკარუნით და სკოლისაკენ მიჰყავს ჩუკოტკელი ბავშვები. ირგვლივ კი ტუნდრაა, არქტიკული უდაბნო...

მკაცრმა ბუნებამ ერთი დიდი სილამაზე მაინც გაიმეტა ამ ყინულიანი მხარისათვის. ეს არის „ჩრდილო-



ეთის ციალი". ზღაპრული, ულამაზესი ფერების ფერიული თამაში.

ზღვის ნაპირებთან და ცისფერ აისბერგებზე არც თუ იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე თეთრი დათვები, თოვლივით ფაფუკი, შავდრუნჩიანი ბელებით, ზღვის ლომები, სელაპები... აი ასეთია ის მხარე, სადაც პიონერ-მოსწავლეთათვის სასახლე უნდა აშენდეს. შარშან და წლეულს საქართველოს ჩუკოტკიდან 100 პიონერი ეწვია სტუმრად. ვიდრე სტუმრები აგარაკზე გაემგზავრებოდნენ, თბილისის პირველი მაისის რაიონის პიონერებმა პიონერთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარის ნელი ბალაშწარაშვილის ხელმძღვანელობით საუკეთესო მასპინძლობა გაუწიეს მათ. მაგრამ მოხდა სამწუხარო ამბავი — ფეხბურთის თამაშის დროს სტუმარმა პეტია სავჩენკომ ფეხი იტკინა. მას ერთი თვე თაბაშირში ჰქონდა ნაღრძობი ფეხი. საავადმყოფოში დღეში ორჯერ მიდიოდნენ საქალაქო პიონერული ბანაკის „აისის" პირველი, მეორე და მესამე რაზმების პიონერები. ხილი და ტკბილეული, წიგნები, ჟურნალები, ყვავილები და ფერადი ფანქრები, რაღა არ მიჰქონდათ პეტიასთან, რომ ესიამოვნებინათ. ერთმა პიონერმა ცოცხალი კუც კი შეაპარა პალატაში. პეტიას ძალზე გაუხარდა, მაგრამ სანიტარმა კუ თავის მომყვანთან ერთად პალატიდან „გამოაბრძანა".

პიონერებმა გაიგეს, პეტია მარკების კოლექციას აგროვებსო. რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე მერაბ ციხისელმა თავისი კოლექცია აჩვენა, ხოლო მარკები, რომლებიც ძალზე მოეწონა სტუმარს, — აჩუქა. იმ დღიდან ბიჭები გულითადად დამეგობრდნენ და დღესაც მიწერ-მოწერა აქვთ ერთმანეთთან.

პეტიას ამხანაგებმა კი შავი ზღვის სანაპიროზე, ფოლადაურში, დაისვენეს. გაშავდნენ, გაჯანსაღდნენ, მათი ქართველი მეგობრები კი მთელი მონდომებით აგრძელებდნენ ოპერაცია „ჩუკოტკას". პირველი მაისის რაიონის პიონერებმა 220 მანეთის მაკულატურა შეაგროვეს. აბა, რამდენი შრომა უნდა გაეწიათ მათ ამ თანხის შესაგროვებლად, როცა ერთ ტონა მაკულატურაში 20 მანეთი ერიცხებოდათ. 22-ე საშუალო სკოლის პიონერულმა რაზმეულმა მაუდკამვოლის კომბინატში მოაწყო შაბათობა.



მე-18 საშუალო სკოლის პიონერებმა იციან, რომ აქ მაკულატურის საფასური მეგობართა პიონერთა სასახლის აგებას მოხმარდება, ამიტომ ეზიდებიან ასე ხალისიანად ძველ ჟურნალ-გაზეთებს.

ამ რაიონის პიონერულ ნაკრებ კოლექტივს ქალაქის კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე მუშაობისათვის სახელმმართველობებმა ანგარიშზე 70009 — 500 მანეთი გადაურიცხეს.

პიონერებმა ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში კონცერტიც გამართეს. მსმენელები მოხიბლა ამ სახლთან არსებულმა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „მერცხალმა".

„ანგარიშ 70009-ზე ჩარიცხული თანხა კი თანდათან იზრდება...

პირველი მაისის რაიონის პიონერულ საბჭოს განზრახული აქვს მომავალ ზაფხულს მუხრანში შექმნას უფროსკლასელთა გასვლითი შრომითი ბანაკი. ამ ბანაკში მოსწავლეები დაისვენებენ, ჯანმრთელობას გაიკაჟებენ და თან მეურნეობაშიც იმუშავებენ, შემოსავალს კი გადაარიცხვინებენ ოპერაცია „ჩუკოტკის" ანგარიშზე.

სულ მალე ჩუკოტკელ პიონერებს თავიანთი სასახლე ექნებათ! მშვენიერი შენობა შეიღებება ცისარტყელას ფერებით. ქართველი ბავშვები იქ გასაგზავნად რაღას აღარ ამზადებენ: ჭედურობას „ვეფხი და მოყმე", ჩონგურს, ალბომებს, ფირფიტებს, წიგნებს, სალამურს, ნახატებს, ნაქარგებს, ქართულ ტანსაცმელს, ქართულ თოჯინებს...

ჩუკოტკელი პიონერების სასახლე ჩვენი ქვეყნის ყველა პიონერისათვის ძვირფასი საჩუქარი იქნება.

**ნარგიზა მგელაძე.**

დაუღალავად იშრომეს პიონერებმა გაზონებისა და სკვერების გამწვანებისათვის.

ფოტო ა. კავკასიძისა.

# ზეიმობს სომხეთი



საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, სტუმრად მოვიწვიეთ სომხური საყმაწვილო ჟურნალი „პიონერი“. ვბეჭდავთ ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაწარმოებს.






ჩვენს მოძმე სომეხ ხალხს დიდი ეროვნული ზეიმი აქვს — შესრულდა 50 წელი სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

უაღრესად მდიდარია სომეხი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ძველისძველი ხუროთმოძღვრული ძეგლები, სარწყავი სისტემების ნაშთები, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთები მოწმობენ, რომ ამ მზიურ ქვეყანაში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში დიდად იყო განვითარებული მიწათმოქმედება, ხელოვნება, ლიტერატურა.

ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე სომხეთის სახელმწიფომ თავისი არსებობის მანძილზე რა სახის ტანჯვა-წამება არ გამოსცადა, რომელ დამპყრობელს არ ურბევია იგი! — ასურელებს, თუ ბერძნებს, რომაელთა ლეგიონებს თუ თემურ-ლენგის ურდოებს, თურქებს თუ სპარსებს... მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის სუსხიც უწვნევია, დაშნაკების სისხლიანი ტერორიც უგემნია.

მაგრამ სომეხი ხალხისთვისაც გათენდა საოცნებო დღე. 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. დაიწყო თავისუფლების, მშვიდობის, განახლების ხანა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირფესვიანად იცვალა სახე სომხეთის რესპუბლიკამ. ამჟამად იგი ინდუსტრიული და მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანაა. წიაღისეული საბადოებით მდიდარ მიწა-წყალზე უმაგალითო გაქანება ჰპოვა მანქანათმშენებლობამ, ფერადმა მეტალურგიამ, ქიმიურმა მრეწველობამ. უკვე რამდენიმე წელია, აქ საავტომობილო ქარხანა აშენდა და ამუშავდა. საქვეყნოდ არის განთქმული ადგილობრივი მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია: ტრიკოტაჟი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ღვინო და კონიაკი, ხილის კონსერვები, მინერალური წყლები...

საკოლმეურნეო წყობილებამ წელში გამართა ოდესღაც დაბეჩავებული სომეხი გლეხობა, ფართოდ გადაშლილ ველებზე ტრაქტორები და კომბაინები გუგუნებენ; თვალს ახარებს ვრცელი ვენახები, ხეხილის ბაღები, თამბაქოს და ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციები... მწვანე იალაღები ცხვრის ურიცხვ ფარებს და ნახირს დაუფარავთ.

აყვავდა სომხური მეცნიერება, ლიტერატურა, კულტურა. დღეს სომხეთს საკუთარი მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სასწავლებლები, საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებები, ტექნიკუმები, თეატრები აქვს. შორს გაითქვა სახელი ბევრმა სომეხმა მეცნიერმა, მწერალმა, ხელოვნების მოღვაწემ.

ბედნიერად ცხოვრობენ სომეხი მოზარდები. მათთვის არის გახსნილი მრავალი საშუალო და რვაწლიანი სკოლა, ბაგა-ბაღები, პიონერთა ბანაკები, სანატორიუმები. მათს აღზრდას ემსახურება საბავშვო ჟურნალები „პიონერი“ და „წიწერნაკი“.

ახალი სომხეთის ეს დიდი ზეიმი მთელი ამიერკავკასიის ხალხთა ზეიმიცაა.

**ნანსენ მიქაელიანი**

# მაისი

*თარგმნა გივი შაჰნაზარმა*

ამღერებულან ნორქში* ჩიტები,
მღერენ სიონი ხალისიანნი,
მზეთა გალობა არის წითელი...
ხეთა გალობა—მაისიანი...
მინდვრებს ზეიმი გაამზიანებს—
ფერით, სურნელით არის მდიდარი,
ნაკადულებსაც გააქვთ ზრიალი,
ტალღა და შუქი ახლავთ მდინარის.
გაზაფხულს ძალა უკვე ემატა,
მკერდზე ყვავილთა უჩანს დროშანი
და თან მოჰყვება მოგონებათა
ჩრდილი სისხლიან ვარდთა დრო-ჟამის.
ახსოვს ყინული გზაზე ზღუდეთა,
ტყვიით ნაჩქლეთი ნორჩი კვირტები...
მგლოვიარება დაშლილ ბუდეთა
და მწუხარება დედა-ჩიტების.
მალე ფიქრებით ცაში აფრინდა,
გამარჯვებათა შუქმა იმატა;
მძიმე წარსულის ზამთრის კვამლიდან
სომხეთი როგორ წამოიმართა.
ახსოვს, ამღერდნენ ნორქში ჩიტები,
მღერდნენ სიონი ხალისიანნი,
მზეთა გალობა იყო წითელი...
ხეთა გალობა—მაისიანი...
მაისის მზეა, გაქრა უკუნი!
მზეშიც მაისის ზარი გაისმის.
ჩემო ნორჩებო, თქვენც აგუგუნეთ—
თქვენი ხალისით—ჰიმნი მაისის!

---

* ნორქი—ერევნის ერთ-ერთი ლამაზი კუთხე.



# ლეგენდა

## მშობელი მიწა

შორეულსა და უხსოვარ დროში სომეხთა ქალაქ ედესიაში მეფობდა თურმე ერთი ბრძენი და მშვიდობისმოყვარე მეფე აბგარი. მეომარი მეზობლებისაგან შეწუხებული აბგარ მეფე ერთხელ იძულებული გამხდარა ოქტავიანოს კეისართან რომში წასულიყო და მისგან თანადგომა ეთხოვა.

ერთი სიტყვით, გამოაწყო თურმე ჩვენმა აბგარ მეფემ ამალა და კეისრის საკადრისი საჩუქრებით გაუდგა გზას რომისაკენ.

გადაიარა აბგარმა ხმელეთი, გაცურა ზღვა, გადალახა მთები, გადაჭრა ნაყოფიერი ველები, იარა, იარა და, რამდენადაც უფრო დაშორდა მშობლიურ ედესიას, იმდენად შორს მოეჩვენა რომი, ასე მალე უნდოდა რომში მისვლა და მალევე უკან გამობრუნება.

რაკი ყოველ გზას თავისი დასასრული აქვს, აბგარ მეფემაც, დიდი ხნის სიარულის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწია მსოფლიოს დედაქალაქს.

იხილა და გაოცდა: ქალაქი, მაგრამ რა ქალაქი — ენით უთქმელი მშვენიერება! მნახველი იტყოდა, ერთხელ ხომ გნახე, მაგრამ ათასმეერთედაც რომ გნახო, მაინც ვერ შეგელევიო!

კეისარმა დიდი პატივითა და დიდებით მიიღო აბგარ მეფე და იზრუნა, რომ სტუმარს გულს არაფერი დაჰკლებოდა და უცხოობაში არ ედარდა. ეს ოქტავიანოს კეისარი, რომელიც თავის თავს „პირველ მოქალაქეს" უწოდებდა, სინამდვილეში მართლა მოქალაქესავით კი არ ცხოვრობდა, არამედ ნამდვილი კეისარივით და თვითმპყრობელობითაც არ ჩამოუვარდებოდა არცერთ თვითმპყრობელს.

კეისარი იწვევდა სტუმარს სამეფო ნადიმებზე, დაჰყავდა იპოდრომზე დოღის საყურებლად, აჩვენებდა გლადიატორების ბრძოლებს; არსად გვერდიდან არ იშორებდა, ალხენდა და აცვიფრებდა.

შეუყვარდა აბგარსაც რომი. საკვირველს იყო ამდენ საოცრებათა ხილვით, საუბრად და საპაექროდ ჯდებოდა დიდ პოეტებთან: ვირგილიუსთან, ჰორაციუსთან და ოვიდიუსთან,

მონაწილეობდა ლიტერატურულ შეკრებებში და ფილოსოფოსთა კამათში. თავისი ჭკუითა და ზნეკეთილობით მან მალე მოიხვეჭა პატივისცემა და თავი შეაყვარა ყველას.

სასახლეში იგი ერთი იმ სასურველ სტუმართაგანი გახდა, ვისთან ყოფნაც სასიამოვნოა ფრიად და ვისთან განშორებაც დიდად სამწუხარო.

ასე გარბოდნენ დღეები, აღსავსენი სიახლითა და სიამოვნებით, მაგრამ... აბგარ მეფეს თითქოს რაღაც აკლდა, მაინც რაღაც აკლდა და ვერ ისვენებდა... ვაგლახ, სად არიან ნათესავ-შინაურები, ნაცნობი და საყვარელი ადგილები!.. მოიწყინა, საშინლად მოიწყინა აბგარ მეფემ და შინ დაბრუნებაზე დაიწყო ფიქრი.

— მოწყალეო კეისარო, — გაუბედა ერთხელ ოქტავიანოსს, — განა დრო არ არის, თქვენი მორჩილი მონა დაგემშვიდობოთ?

— ო! — გაიკვირვა კეისარმა, — ნუთუ ასე მალე მოგწყინდათ მთელს ქვეყნიერებაზე სახელგანთქმული რომი და მისი პირველი მოქალაქე? რა გეჩქარებათ, ჩემო საპატიო სტუმარო! მოითმინეთ, დარჩით, ჯერ კიდევ რაებს არ იხილავთ აქ!

— მაგრამ... — ბუტბუტებს აბგარი და მასპინძელს რომ არ აწყენინოს, ჩუმდება და რჩება კიდევ რამდენიმე დღეს.

გავიდა კიდევ ხანი და აბგარმა ისევ შინ დაბრუნებაზე ჩამოაგდო სიტყვა. კეისარმა ისევ მოთმინება ურჩია. უყვარს კეისარს, გარს რომ ეხვევიან პოეტები და მომღერლები, ფილოსოფოსები და, საერთოდ, ჭკვიანი ხალხი. აბგარ მეფე კიდევ, რა საკითხავია, იშვიათი მოსაუბრეა, რომაელ განსწავლულთაგან რაღაცით განსხვავებული, რომელიღაც სხვა სამყაროს სურნელი... და კეისარი ისურვებდა, აბგარ მეფე დიდხანს დარჩენილიყო მასთან. თავის ედესიაში დაბრუნებულიყო მრავალფერადი მოგონებით, რომ საკეისროს აღმოსავლეთ ჭიშკართან რომს კიდევ ერთი მეხოტბე და კარგი მეგობარი ჰყოლოდა.

მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს და აბგარის მოთმინებაც ამოიწურა. ის, რაც პირდაპირი თქმით მკვეთრი და საწყენია, შეიძლება უფრო საამო და დამარწმუნებელი გამოვიდეს, თუკი ანიშნებ, არაკით გააგებინებ კაცს. და აბგარ მეფემაც მოიფიქრა ასეთი რამე:



— უავგუსტოესო, — მიმართა აბგარმა კეისარს, — თავის სამშობლოში ფქვენი მორჩილი მონა ჩვეულია ყოველ კვირას ნადირობით გაერთოს... აქ სიახლოეს თუ იქნება სანადირო ადგილები და თუ შეუძლია მას იმ ადგილებით სარგებლობა?

— რატომაც არა, ჩემო მეგობარო, — გაუხარდა კეისარს, — წაიყვანეთ ჩემი საკუთარი მწევარ-მეძებრები და ქალღმერთ არტემიდას კეთილმოსურნეობა აქ, რომის მიწაზეც გამოსცადეთ.

აღიჭურვა აბგარი, რამდენიმე კაცი იახლა და მწევარ-მიმინოებით სანადიროდ გამოვიდა. ბევრი ინადირა მთებში და ჭალებში და მეორე დღეს შუადღისას დაბრუნდა.

კეისარი იმ დროს, ჩვეულების მიხედვით, დოღს ესწრებოდა იპოდრომზე, აბგარიც პირდაპირ იქ ეახლა კეისარს და ნანადირევი სათითაოდ აჩვენა.

— ეს ირემი, კეისარო, — დაიწყო აბგარმა, — მინდორზე დავიჭირეთ. ძალიან კი დაგვტანჯა, სანამ ქამანდს მოვდებდით რქებზე. მაგრამ, უფალო, ამას მაინცდამაინც არა აქვს მნიშვნელობა, — საცა ეს დავიჭირე, იმ ადგილიდან, აი ეს ერთი ტოპრაკი მიწა წამოვიღე; ეს მგელი, კეისარო, ხრამის პირას დავიჭირეთ. ბუნაგს ცეცხლი შევუნთეთ და შევუბოლეთ. ნახევრადგაგუდულმა როგორც კი სოროდან თავი გამოყო, მაშინვე ხელი ვტაცეთ და ალიკაპი ამოვდეთ, ეს მეორე ტოპრაკიც მისი ბუნაგის წინ დაყრილი აყალო მიწით ავავსეთ; ამ რუხ კუს კიდევ მდინარის ნაპირას წავაწყდით. ეს ერთი ტოპრაკიც იმავე მდინარის ნაპირას იმ ქვიშით ავავსეთ, სადაც ეს კვერცხებსა სდებს; სულ ბოლოს კი ეს გველი დავიჭირეთ, — აბგარმა ერთი მოყვითალო ფერის შაჭმარი[1] უჩვენა კეისარს, — რიყეზე იწვა და თბებოდა. ნახეთ, რა ლამაზია ეს წყეული! ნუ გეშინიათ, პირი ამოკერილი აქვს! ამ მეოთხე ტოპრაკში კიდევ ის რიყე-ღორღია, რომელზე წოლაც უყვარდა ამ მცურავს. ახლა კი უავგუსტოესმა თავისი თვალით იხილოს დანარჩენი.

აბგარმა მონებს უბრძანა, რომ ტოპრაკებით მოტანილი მიწა ცალ-ცალკე დაეყარათ იპოდრომზე. ამის შემდეგ იპოდრომზე თითო-თითოდ შეუშვეს დაჭერილი ცხოველები.

ჯერ ირემი შევიდა. შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა აქეთიქით და რამდენიმე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ მივიდა შავ მიწასთან, დადგა და გახევდა.

ირმის შემდეგ მგელი შემოვარდა ისეთი ზათქით, გეგონება მათრახით ერეკებიანო. ირემი მგლის დანახვისთანავე შეშფოთდა, ერთი პირობა კინაღამ ადგილიდან მოწყდა, მაგრამ თითქოს ფეხები ფისში აქვს ჩაფლულიო, ამოიხვნეშა და ადგილზევე დარჩა. ერთ წამს მგელსაც უნდოდა ირმისკენ გაჭრილიყო, მაგრამ ნერწყვი ჩაყლაპა, იპოდრომის მეორე მხარეს მიაწყდა, იქიდან ისევ გამობრუნდა და დაიწყო მოუსვენრად ტრიალი აყალო მიწის გარშემო. ირმისკენ ნაბიჯიც აღარ გადაუდგამს.

მერე კუ შემოვიდა ქსიტინითა და ბაჯბაჯით. ჯერ ირმის ფეხებშუა გაიარა, ახლა დაღრენილ მგელს ჩაუარა წინ, მივიდა ქვიშასთან და გაირინდა.

ბოლოს შაჭმარ-გველი გამოუშვეს. გველმა სამი მიწის გროვას ზიგზაგებით აუარა გვერდი, მივიდა და თავის ღორღზე გორგალივით დაიკეცა.

— ჰოი, მზერანათელო კეისარო, — გაიღიმა აბგარ მეფემ, — მგონი შეამჩნიეთ, თუ ყოველი მათგანი როგორ მიიზიდა მშობლიურმა მიწამ. ირემს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს არსაით, თუმცა სიკვდილი ემუქრებოდა მგლის სახით. მგელმაც გემრიელ ირემს მშობელი მიწა ამჯობინა. გველმა რბილ აყალოს, შავ მიწასა და ქვიშას გვერდი აუარა და თავისი რიყე-ღორღი ამჯობინა; კუმაც, ხომ დაინახეთ, გრძელი გზა გალია, სანამ ქვიშამდის მივიდოდა!

— მართალი ხართ, სამგზის მართალი! — წამოიძახა კეისარმა, — თურმე რა ძალა ჰქონია მშობლიურ მიწას, რა საკვირველი! ფრიად საკვირველი!..

---

[1] შაჭმარი — გველის სახეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ახლა ხომ ხედავთ! უავგუსტოესო, — თავი დახარა აბგარმა, — უენო პირუტყვები არიან და როგორ კი უყვართ ის მიწა, რომელზეც დაიბადნენ და დღემდე ცხოვრობდნენ! ახლა გთხოვთ მიპასუხოთ, ჰოი, უბრძნესო, განა რა საკვირველია, რომ თქვენს მორჩილ მონასაც მსგავსი გრძნობები ჰქონოდა თავისი სამშობლოს მიმართ, მით უმეტეს, რომ მას გულიცა აქვს და ჭკუაც; რომელმაც იქ, შორს დატოვა ცოლი, ბავშვი, მეგობრები და წმინდა მოსაგონარნი; დატოვა მეფობა თუნდაც პატარა, მაგრამ მაინც მშობლიურ მიწაზე!.. მაშასადამე, დაე ნუ მიწყენს ჩემი ძვირფასი მასპინძელი, თუ ვიტყვი, რომ თუმცა ფრიად საყვარელია რომი, მაგრამ ჩემი პატარა ედესია უფრო მეტად საყვარელია და სანატრელი ჩემთვის. ასე რომ, დროა გზას გავუდგე...

— ნება თქვენია, დამამარცხეთ! — იცინის ოქტავიანოსი, — მაგრამ სანამ წახვალთ, მითხარით, ჰოი, ჭკუამახვილო, რით შემიძლია ჩვენი შეხვედრა დაუვიწყარი გავხადო? რას მოისურვებდით წაგეღოთ სახსოვრად რომიდან?

— არაფერს, ჰოი, უძლიერესო, გარდა თქვენი მეგობრობისა და მძლე მარჯვენისა ჩემი ხარბი მეზობლების წინააღმდეგ!

— ეგ, რაღა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება. თქვენ, თავად, რა გისახსოვროთ? თქვენს საყვარელ ედესიაში წასაღებად დიდი რომისაგან რა საჩუქარს ინებებდით? ბრწყინვალე საბრძოლო ეტლებს? ჯავშან-იარაღს? იქნებ მონა-ქალებს?

— ჰოი, გულუხვო კეისარო, — მიუგო აბგარმა, — თუ ასე ძალიან გსურთ დამასაჩუქროთ, მაშინ გულწრფელად მოგახსენებთ: ჩვენი ერთად გატარებული დღეების სამახსოვროდ და ჩემი ხალხის სასიამოვნოდ მინდოდა ჩემს ედესიაში ამნაირივე იპოდრომი მქონოდა. ეს არის ჩემი ერთადერთი სურვილი.

— აღსრულდეს ნება თქვენი! თან გამოგაყოლებთ ოსტატებსა და ხუროთმოძღვრებს. ყოველგვარი ხარჯი ჩემი იქნება!..

აბგარ მეფე მასპინძელ კეისარს დაემშვიდობა, თავისი ამალით სამშობლოს გზას გაუდგა და რამდენიმე ხნის შემდეგ სანატრელ ედესიას მიაღწია.

გამოეგებნენ ახლობლები, მეფეს მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს და მოგზაურობის ამბები გამოჰკითხეს. აბგარმაც წვრილად მოუთხრო ყველას რომში ნანახი სხვადასხვა საკვირველებანი და კეისრის იშვიათი დახვედრა-მასპინძლობა; აჩვენა გარსშემოკრებილთ სხვადასხვა საჩუქრები და ბოლოს დასძინა:

— ამ ყველაფერთან ერთად, ჩემო მეგობრებო, რომიდან ერთი სხვა საჩუქარიც გამოვიყოლე — უვნებელი მწუხარება და უსარგებლო სიხარული...

ამბობენ, ამით იპოდრომს გადაჰკრაო, რომელიც ერთდროულად გამარჯვებათა და დამარცხებათა სიმბოლოა.

**ჰამო ჰარიანი.**

თარგმნა ზეზვა მეღულაშვილმა.

მხატვარი ალ. გრიგორიანი.

**ერამ ოვსეფიანი**

# დილა

თარგმნა გივი შაჰნაზარმა.

მზემ ჩაიხუტა მთები, ველები,
ქარმა ყვითელი ყანა არია...
პურისმცხობელი, დურგალ-მჭედელი
თავის საქმეზე მიიჩქარიან.

სამზარეულო მზარეულს ელის,
ცაში აიჭრნენ თვითმფრინავები,
წინ მატარებლებს გზა უძევთ გრძელი,
ზღვის ტალღებს აჰყვნენ თეთრი ნავები...

მებაღემ მკერდზე მიიკრა ვაზი,
ბარი გადადო, საბარი არ ჩანს,
ისმის ვენახის ჩურჩული ნაზი:
— ბარაქის ზღვაა ბაღი და ბაღჩა...

ყანჩა იძახის მოცვარულ ბაღში:
— ჰეი, გაიღვიძეთ, უკვე ინათა!..
იღიმებიან დედა და ბავშვი,
გაღვიძებია ყველა ბინადარს...

ერთი ბიჭი კი წიგნს სწრაფად ფურცლავს —
გულს რა უღელვებს? რამ ააფეთქა?!
ფიქრში ვენერა მოხატა უცებ
და... მიჰქრის ფიქრი როგორც რაკეტა!..

ვიგენ ხეჩუმიანი

მხატვარი ჰენრიკ სირაფიანი.

# საიდუმლო კარი



ეს ამბავი ძალზე ძველია.

მაშინ ჩვენს სამშობლოში წალკაბერდად სახელდებული ერთი ციხე-სიმაგრე იყო. ოთხივე მხრიდან სქელი გალავნითა და კოშკებით შემოზღუდული, მაღალი კლდის მწვერვალზე იდგა.

გალავანსა და კოშკზე დღე და ღამე მეთვალყურეები იდგნენ. მშვილდისრებითა და მახვილით შეიარაღებულებს თავზე სპილენძის ჩაფხუტები ეხურათ. მეთვალყურენი ციხე-სიმაგრის კარს მაშინ აღებდნენ, როცა სამოყვროდ მოსულ ხალხს დაინახავდნენ.

ოდნავ ქვევით კი, ღრმა და კლდოვან ხეობაში, აქაფებული მდინარე მიჰქუხდა. კაცი მდინარის მეორე ნაპირზე რომ გადასულიყო, მოპირდაპირე მხარეს აღმართული მაღალი მთა გადაევლო და ცოტა კიდევ წასულიყო, ერთ დიდ და ძველ ქალაქს მიადგებოდა, რომელიც აგრეთვე გალავნით, კოშკებითა და კარიბჭეებით იყო გამაგრებული.

როცა მტერი წალკაბერდს თავს დაესხმოდა და გარს შემოერტყმოდა, იმ დიდი ქალაქის მეომრები, როგორც კი ცნობას მიიღებდნენ, მაშინვე დასახმარებლად მოეშურებოდნენ.

პატარა მხატვარი მომიკი პაპასთან, მამასთან და დაიკო დინარიკთან ერთად წალკაბერდში ცხოვრობდა.

პაპა და მამა მხატვრები იყვნენ, წიგნის მხატვრები... დაიკო დინარიკი კი სხვადასხვა ყვავილებითა და მცენარეულობით საღებავს ხარშავდა. მაშინ მზა საღებავები ხომ არ იყო.

მაშინ წიგნებიც სხვანაირი იყო. თხელი ტყავისაგან გამზადებულ ფურცლებზე ლერწმის ღეროთი ხატავდნენ.

მხატვრები წიგნის არეებსა და თავისუფალ ადგილებს ნაირ-ნაირი ნახატებითა და მხატვრული ასოებით ამკობდნენ. ხატავდნენ ადამიანებს, ხეებსა და ყვავილებს, ფრინველებსა და ცხოველებს, მხეცებსა და ათასგვარ სამკაულებს. ხოლო ნახატებს ყვითლად, ლურჯად, წითლად და მწვანედ, ერთი სიტყვით, ათასფრად აფერადებდნენ.

რას აღარ ხატავდნენ პაპა და მამიკო: ალისფერ მამლებს, ფეხწითელ კაკბებს, ზღაპრულ მხეცებს... მომიკიც გვერდით უჯდა და მათთან ერთად ხატავდა.

უფრო ხშირად კი მომიკი ხესა და ყვავილს და ოქროს-



ფრთიან, წითლად და ლურჯად აჭრელებულ ჩიტუნებს ხატავდა. მეწამულ ბროწეულებსა და ლაჟვარდ ცას; ბატკნებს, ციკნებსა და პატარა მწყემსებს; მათი ციხე-სიმაგრის კედლების მსგავს აყვავებულსა და ამწვანებულ ირიბ კლდეებს.

პაპა და მამიკო დილიდან გვიან ღამემდე მუშაობდნენ. მომიკი კი მხოლოდ დღისით ხატავდა.

— წადი, წადი, დაიძინე, — დაღამებისთანავე ეტყოდა ხოლმე მამა, — როცა გაიზრდები, ღამ-ღამობით მაშინ დახატავ.

— შენც დაიძინე, ჩემო გოგონავ, — ახლა პაპა მიუბრუნდებოდა დინარიკს.

არც პაპამ და არც მამიკომ გვიან ღამემდე ძილი არ იცოდნენ რა იყო. აანთებდნენ ჭრაქს და ხატავდნენ და ხატავდნენ.

დაწოლის შემდეგ, დინარიკი და მომიკი ჯერ კიდევ კარგა ხანს უყურებდნენ პაპისა და მამიკოს წახრილ ზურგებს. სხვა არაფერი მოჩანდა.

და შუაღამისას რომ გაჰღვიძებოდათ კიდეც, უფროსები ისევ თავის ლამაზ და ძნელ საქმეში იყვნენ გართულნი...

ერთხელ, შუაღამისას მომიკი და დინარიკი უჩვეულო ღრიანცელმა გამოაღვიძა. ოთახის კარი ღია იყო. გარედან გალავნისაკენ დაძრული ხალხის ყიჟინის, ცხენების ჭიხვინისა და ფარ-ხმლის ჯახანის ხმა შემოდიოდა.

პაპასა და მამიკოს მიეტოვებინათ საქმე და ხელთ ფარი და მახვილი ეპყრათ.

მომიკი მაშინვე მიხვდა, რომ მათ ციხე-სიმაგრეს მტერი შემოსეოდა.

წამოხტა საწოლიდან და მამასთან მიიჭრა.

— მეც თქვენთან ერთად წამოვალ... მეც წამიყვანეთ...

— არსადაც არ წამოხვალ, — გაუწყრა მამა, — ჩაიცვი, დინარიკიც მოიხმარე, წიგნის ბოლო გვერდიღა დარჩა მოსახატი და შენც ყვავილოვანი ბროწეულითა და ჩიტუნებით მოხატე...

გარედან მამიკოსა და პაპას უხმობდნენ და ისინიც ჩქარობდნენ, რომ მეციხოვნეებს დროზე შეერთებოდნენ. მამა ხმის ამოუღებლივ მიუბრუნდა ბავშვებს, მერე დაუმთავრებელ წიგნს გადახედა და თავი გაიქნია.

— ვერ მოახერხეს... — თქვა მამამ, — ციხე-სიმაგრიდან ვერავინ გავიდა, რომ ქალაქის მეომრები საშველად ეხმო. მტერმა ყოველი მხრიდან ალყა შემოგვარტყა.

— აბა, ვის რას გააგებინებ? — თქვა დაღონებულმა პაპამ, — აკი ვამბობდი, გალავნის ძირში საიდუმლო გასასვლელის გაკეთებაა-მეთქი საჭირო, მდინარის ფსკერზე საიდუმლო გზა უნდა გაყვანილიყო... ასე რომ ყოფილიყო, ვინმე შეუმჩნევლად გავიდოდა აქედან, მიაღწევდა ქალაქს, გააგებინებდა და მაშველიც გვეყოლებოდა.

პაპა და მამა დაემშვიდობნენ ბავშვებს და გალავანზე საბრძოლველად გავიდნენ, რათა წაღკაბერდი მტრისთვის არ ჩაეგდოთ ხელში.

ხოლო იქ, გალავანთან ბრძოლა თანდათან ფიცხელი ხდებოდა. მტრის ჯარი კოშკებს ყოველი მხრიდან ისრებს უშენდა და კარიბჭესა და გალავანს მორებს ურტყამდა. არც გალავანზე მდგარი დამცველები აყრიდნენ კარგ დღეს, ისრებითა და მახვილებით უმასპინძლდებოდნენ.

მომიკი მიხვდა: მტერი გალავნის შენგრევასა და კარიბჭის შელეწვას თუ მოახერხებდა, შეიჭრებოდა ციხე-სიმაგრეში და ყველას ერთიანად გაჟუჟავდა — პაპასაც და მამასაც... მათ მოხატულ წიგნსაც მოიტაცებდა და დაუნგრეველი არც ერთი საცხოვრებელი კოშკი არ დარჩებოდა...

დინარიკი მომიკის გვერდით მოკუნტულიყო და ზლუქუნებდა. ბიჭს წარბები შეეკრა და წიგნის ბოლო, დაუმთავრებელ გვერდს მდუმარედ დასჩერებოდა; აკი მამამ უთხრა — ზედ შენი ყვავილიანი ბროწეულები და ჭრელ-ჭრელი ჩიტუნები დახატეო...

მაგრამ მომიკმა ხეებისა და ჩიტების დახატვა აღარ ისურვა. მას უნდოდა, რომ მათ ციხე-სიმაგრეს საიდუმლო გასასვლელი ჰქონოდა, გალავნიდან ხეობამდე გაჭიმული საიდუმლო გზა. ასე რომ ყოფილიყო, მტრის ჯარით გარშემორტყმული ციხე-სიმაგრიდან გავიდოდა, მდინარეს გადავიდოდა, მოპირდაპირე მხარეს აღმართულ მაღალ მთას გადაივლიდა და იმ დიდი და ძველი ქალაქის გალავანს მიადგებოდა, საიდანაც მაშველი უნდა ეხმო.

ასეთ ფიქრებს მისცემოდა მომიკი. და წიგნის ბოლო გვერდზე მისი პატარა ხელი თავის სასურველს ხატავდა: მაღალსა და მტკიცე გალავანს, გალავნის ძირში დატანებულ რკინის კარს, რომელიც აყვავებულ ბროწეულებში ძლივსღა მოჩანდა...

როცა მომიკმა ყველაფრის ხატვა მოათავა, წამოდგა, დახედა ნახატს და დინარიკი იხმო ჩუმად.

— ნუ ტირი, დაიკო... — წასჩურჩულა გოგონას, — მალე დავბრუნდები, სირბილით წავალ, მაშველს მოვიხმობ და ახლავე შენთან გავჩნდები. აქ ჩამოჯექი და დამელოდე.

და გაოცებულმა და შეშინებულმა დინარიკმა დაინახა, მომიკმა თავისი დახატული საიდუმლო კარი როგორ გამოაღო, რა სწრაფად ჩალია ქვის კიბეები, როგორ მიაღწია მდინარის ფსკერზე გაჭრილ გზას და... კარი მაშინვე დაიხურა.

გათენებამდე წაღკაბერდის გარშემო ბრძოლა არ დამცხრალა.

გათენებამდე მტერს ცდა არ დაუკლია, როგორმე შეენგრია გალავანი, შეელეწა კარიბჭე და შიგ შესულიყო.

გათენებამდე დინარიკი დახატული გალავნის წინ იყო მიკუნტული, მომიკის საიდუმლო კარს მისჩერებოდა, ქვითინებდა და ელოდა და ელოდა...

ხოლო გათენებისას ბრძოლის ყიჟინა სიხარულის შეძახილებმა შეცვალა. დინარიკი გარეთ გავარდა და მამა და პაპა, მეციხოვნეები და მეზობელი ქალაქიდან მოსული მაშველი ჯარი დაინახა. მათ მტერი დაემარცხებინათ და სომხეთის საზღვრებიდან შორს განედევნათ.

დინარიკმა შინ შეირბინა და, როცა წიგნის ბოლო გვერდს უახლოვდებოდა, მომიკის დახატული საიდუმლო კარი გაიღო, დაღლილ-დაქანცული ძმა ძლივს შემოლასლასდა და კარი ისევ მიიხურა.

სწორედ ამ დროს ოთახში პაპა და მამიკოც შემოვიდნენ. მამამ წიგნის ბოლო გვერდზე ნახატი დაინახა და ძალიან გაბრაზდა:

— მე შენ რა გითხარი? აყვავებული ბროწეულები და ჭრელ-ჭრელი ჩიტუნები ეს არის?

პაპას კი არა სწყენია რა.

— რა უშავს, — უთხრა მან, — როგორც ჩანს, სწორედ ამის დახატვა იყო საჭირო. კარგია, დარჩეს...

დინარიკს უნდოდა ეამბნა, თუ რა გადახდათ ღამით, მაგრამ მომიკმა შეაჩერა და წასჩურჩულა:

— ჩუ!.. ნუ იტყვი, დაე ნურავინ გაიგებს ჩემსა და შენს საიდუმლოს...

თარგმნა ბიბი შაჰნაზარმა.





# პაემანი

ტელეფონის წკრიალი გაისმა. კალმისტარი მაგიდაზე დავაგდე და მეორე ოთახში გავვარდი.

— ალო!

— მე ვარ, კარენი.

ჩემმა დამ შემომხედა, ჩაიქირქილა და თმების სწორება განაგრძო. ვიგრძენი — ლოყები როგორ ამიწითლდა, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს აქ არაფერი ხდებაო და განვაგრძე:

— გისმენ, კარენ!

— ლილი, დღეს საღამოს თავისუფალი ხარ?

— როგორ გითხრა... აი, გაკვეთილები...

— ძალიან გეხვეწები, ლილი. ექვსზე იქ იყავი.

არაფერი ვუპასუხე, გაოცებულმა მხრები ავიჩეჩე მხოლოდ. კარენს ასე გვიან პაემანი არასოდეს დაუნიშნავს ჩემთვის.

— მაინცდამაინც ასე გვიან რატომ?.. — გავიოცე მე, — დედაჩემი რას იტყვის?..

— კარგი რა, ლილიკო, ძალიან გეხვეწები, ოღონდ ახლა დამიჯერე და... ზუსტად ექვს საათზე დათქმულ ადგილას იყავი, კარგი?

— კარგი.

შეშფოთებულმა ყურმილი დავკიდე. შემდეგ დადუმებულ ყურმილს გავხედე და ნელ-ნელა საწერი მაგიდისაკენ წავედი. მაგრამ რა აზრი აქვს მაგიდასთან ტყუილად ჯდომას?.. ფიქრი ექვს საათსა და იმ ქუჩას უტრიალებდა, სადაც კარენი დამელოდებოდა.

როგორც კი ექვსი საათი მოახლოვდა, პალტო ჩავიცვი და თავქუდმოგლეჯილი კიბეზე დავეშვი. გარეთ თოვლი გამდნარიყო და პატარ-პატარა გუბეებად ქცეულიყო. ჰაერში გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა. ჩვენი ქუჩის მენაყინე მხიარულად ღიღინებდა და ფარდულს საღებავს უსვამდა. ატალახებულ გუბეებზე ხტუნვა-ხტუნვით ქუჩა გადავჭერი. არ ვიცი — გაზაფხულის ბრალი იყო თუ ჩახჩახა მზისა, რაღაც მელოდიას ვღიღინებდი, რომლის სიტყვებს ვერ ვიხსენებდი. მალე პაემანის ადგილზე მივედი. კარენი არ დამხვედრია...

გავიდა ხუთი წუთი, ათი, მაგრამ კარენი ჯერ კიდევ არ ჩანს. გაბრაზებულმა გადავწყვიტე — წავჩხუბებოდი და ყველაფერში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოვქცეულიყავი. თხუთმეტი წუთი. კარენი არ ჩანს. ეს უკვე ცუდად მენიშნა და ვიფიქრე, უბრალოდ, არც კი წავეკინკლავები-მეთქი. ოღონდ მოსულიყო და... მაგრამ კარენი არა და არ ჩანდა. საათი კი შეუბრალებლად შვიდის ნახევარს მისდგომოდა. არ ვიცოდი, რა მექნა. არასოდეს მსგავსი შემთხვევა არ მქონია და არც ის ვიცოდი, ასეთ დროს გოგონები როგორ იქცეოდნენ. უცებ ვიგრძენი, ქუჩის მეორე მხრიდან მომჩერებია ვიღაც გოგონა და პირდაპირ ჩემკენ მოემართება. გოგონას ხელში ენძელები უჭირავს. შეშფოთებული მომიახლოვდა და თვალებში შემომაჩერდა. მერე გაუბედავად მკითხა:



ზიქორი. ნაირა ხიკოიანი. 10 წლის.



ავტობუსი. ტაგიკ სააკიანი. 6 წლის.

— უკაცრავად, ლილი თქვენა ხართ?

— დიახ, — წავილუღლუღე და ვიგრძენი, გული როგორ ამიჩქროლდა.

რამდენიმე ნაბიჯი ერთად ისე გადავდგით, ერთმანეთისათვის სიტყვა არ გვითქვამს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ეს რამდენიმე ნაბიჯი გრძელ, ძალიან გრძელ გზად მეჩვენა. რომელიმე ჩვენთაგანს ხმა უნდა ამოეღო... მაგრამ ვინ იქნებოდა პირველი?..

— კარენი... — მოულოდნელად თქვა მან.

მე ხმა არ გამიღია. გული საგულეში აღარ მეტეოდა.

— ჩემი ძმა არის... ენძელაზე წასულა, კლდიდან გადმოვარდნილა და ფეხი მოუტეხია. მთხოვა — თქვენთან მოვსულიყავი და გამეგებინებინა.

მე უცებ შევკრთი და შევჩერდი.

— ამ ადრეულ გაზაფხულზე ენძელები რისთვის უნდოდა? — განაგრძობდა კარენის და.

ვიგრძენი, რომ რატომღაც რაღაც მიხაროდა... არ ვიცი რატომ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი ყვავილები მე მეკუთვნოდა, ალბათ სიურპრიზად უნდოდა ჩემთვის.

სწრაფად, ძალიან სწრაფად ვაზროვნებდი, მაგრამ გამოსახატავად სიტყვები ვერ მომეძებნა. გოგონაც დუმდა. მისი დუმილი მსიამოვნებდა კიდეც.

— აი, ჩვენი სახლიც, — მოულოდნელად გოგონა შეჩერდა, — თუ გინდათ, მაღლა ავიდეთ, ძალიან გაუხარდება...

— ა... არა, სხვა დროს იყოს... მომიკითხე, — ძლივძლივობით მოვახერხე თქმა.

— ვაი, კინაღამ დამავიწყდა, — და უცებ გოგონამ ენძელები გამომიწოდა.

— კარენმა მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა; ამისთვის მოიტეხა ფეხი... — ირონიულად გაიღიმა მან.

ენძელები გამოვართვი და სწრაფად გავშორდი, რომ ცრემლი არ წამსკდომოდა.

ენძელები საყვავილეში ჩავდე და ჩემი ფანჯრის რაფაზე დავდგი. ადრეული გაზაფხულის ყვავილებს თავი ძლივს ეჭირათ და არ ვიცოდი, იცოცხლებდნენ თუ დაჭკნებოდნენ; საწოლზე წამოწოლილი მდუმარედ მივჩერებოდი. ტირილი აღარ მახრჩობდა, პირიქით, რაღაცის გამო თითქოს გახარებულიც კი ვიყავი... ოღონდ ეს იყო, რომ ჩემს სიცოცხლეში მთელი ღამე თეთრად პირველად გავათენე.

ალსიკ ქეჩიანი,
ერევნის 114-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

თარგმნა გივი შაჰნაზარმა.

მხატვარი ჰენრიკ სირაფიანი



ცეკვა. ლალი არზუმანიანი, 12 წლის.



## პირველი „თანამგზავრი“



პირველად, ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, ისტორიული ცნობების მიხედვით, 1740 წელს უცდიათ საფრანგეთში. მეფის ბრძანებით, საგანგებოდ ჩამოუსხამთ გიგანტური ქვემეხი და ცისთვის უშველებელი ჭურვი უტყორცნიათ. ბევრს ეგონა თურმე, ჭურვი დედამიწის თანამგზავრი გახდაო. ორიოდე წლის შემდეგ გერმანელმა მათემატიკოსმა ჰანს ჰარტენშტეინმა დაამტკიცა, რომ ეს სრულიად შეუძლებელი რამ იყო. მაგრამ ამ ამაო და სასაცილო ცდამ მაინც დიდი საქმე გააკეთა: სწორედ ამ შემთხვევამ უბიძგა ფრანგ მწერალს ჟიულ ვერნს დაეწერა რომანი „ქვემეხიდან მთვარეზე“.



## უებარი წამალი

ერთხელ, გამოჩენილი მწერლის მარკ ტვენის თანდასწრებით, მთვარეულებზე საუბრობდნენ. თურმე ერთ-ერთი მოსაუბრე ამ ავადმყოფობით ყოფილა დაავადებული.

— მე ვიცი ამ ავადმყოფობის უებარი წამალი, — ჩაილაპარაკა მწერალმა.

— ძალიან გთხოვთ, ეგებ მიშველოთ რამე! — შეეხვეწა მოსაუბრე.

— იყიდეთ ერთი კოლოფი საკანცელარიო კნოპები და დაწოლამდე საწოლის-წინ მიმოფანტეთ. — ასწავლა მარკ ტვენმა.





კროსვორდი

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 1. ტბა საბჭოთა კავშირში; 2. მწვერვალი ალტაიში; 3. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მოთამაშე; 19. ინდონეზიის კუნძულთაგანი; 5. ტბა აფრიკაში; 6. ძვირფასი ქვა; 7. კუნძულები შორეულ აღმოსავლეთში; 8. შინაური ცხოველი; 9. მდინარე საბჭოთა კავშირში; 10. მდინარე ევროპაში; 11. მდინარე საქართველოში; 12. ქალაქი ინდოეთში; 13. სახელმწიფო ევროპაში.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 14. მუსიკალური საკრავი; 15. მდინარე ევროპაში (ერთვის ჩრდილოეთის ზღვას); 16. ქალაქი ჩინეთში; 17. ყვავილის სახელი; 18. მდინარე საქართველოში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 20. მდინარე საქართველოში; 21. სასწავლო ნივთი; 22. მთის მწვერვალი ინდოეთისა და ჩინეთის საზღვარზე; 23. მხატვრული ფილმი; 24. სახელმწიფო ევროპაში; 25. ქვანახშირის ერთ-ერთი სახეობა; 26. ყვავილის ერთ-ერთი სახეობა.

კლარა გრიგოლავა,

ქ. ცხაკაიას მე-2 რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



პასუხი

№ 10-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 2. შვრია; 4. ციკო; 5. კვანძი; 7. იალბუზი; 8. ლირიკა; 11. ლიბერია; 13. კლდე; 15. ვალე; 17. ვარდი; 18. დონი; 21. არღანი; 24. ბრინჯი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ორბი; 3. დაისი; 5. კოდალა; 6. ნიორი; 9. რომბი; 10. არტეკი; 11. ლემა; 12. ათენი; 14. ზევსი; 16. ეირი; 19. ნანსი; 20. ჟანგვა; 22. ალპები; 23. ამური.

შეცდომის გასწორება

„პიონერის“ № 9-ში მოთავსებულ კროსვორდში გაპარულია შეცდომა. უნდა იკითხებოდეს: ჰორიზონტალურად: 1. ფრანგი მწერალი; 4. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკა. 7. გრანიტის შემადგენელი მინერალი; შემდეგ როგორც ტექსტშია.

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


დ. დიასამიძე — საბჭოთა აჭარა (წერილი) გარეკ. . . . . 2
მ. მშვიდობაძე, გ. შარაშიძე — სადღეგრძელო უკვდავებისა (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . 4
მ. ვარშანიძე — იყო და მარად იქნება. (ლექსი) . . . . . 8
ა. დიასამიძე — პირველი ლამპარი (ნარკვევი) . . . . . 9
ჯ. ჯაყელი — ჩვენ ვაგებთ პასუხს (ლექსი) . . . . . . 12
ნ. მალაზონია — სიცოცხლე მინდა (ლექსი) . . . . . . 13
ფ. ხალვაში — ბათუმის წვიმა (ლექსი) . . . . . . . 13
ი. მელია — დიდი სიცოცხლე (ლექსი) . . . . . . . 13
ძ ვ ე ლ ი  დ ა  ა ხ ა ლ ი  ბ ა თ უ მ ი — (ფოტორეპორტაჟი) . 14
თ. ფიფია — ბიჭები (მოთხრობა) . . . . . . . . . 18
ნ. მგელაძე — ანგარიშის ნომერია 70009 (ნარკვევი) . . . 22
ზ ე ი მ ო ბ ს  ს ო მ ხ ე თ ი (წერილი) . . . . . . . . 24
ნ. მიქაელიანი — მაისი (ლექსი, თარგმნა გ. შაჰნაზარმა) . . 25
ჰ. პარიანი — ლეგენდა მშობლიური მიწისა და (თარგმნა ზ. მედულაშვილმა) . . . . . . . . . . . . 25
ვ. სერუმიანი — საიდუმლო კარი (მოთხრობა) . . . . 28
ა. ძერიანი — ენძელები (მოთხრობა, თარგმნა გ. შაჰნაზარმა) . 30
თ უ რ მ ე . . . . . . . . . . . . . 31
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . . . . . . 32


გარეკანის პირველ გვერდზე — „შემოდგომა“ მხატვარი. გ. ღლონტი.


მთავარი რედაქტორი გაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93 -02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/IX-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-70 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 2783 ტირ. 123.800. უე 02194.

ფასი 20 კაპიკი



რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## მოსწავლეთა შემოქმედება

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რ. ბერიძე. 13 წლის.



თ. ამინიძე. 13 წლის.

ქ. ბათუმის საბავშვო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა შემოქმედება.



ვ. ხალათოვი. 13 წლის



ე. ჯევდეთი. 13 წლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157



ფოტო
ა. ჩარკვიანისა